საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეს საქართველოა

სტატისტიკური პუბლიკაცია

WWW.GEOSTAT.GE

საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახური

ეს საქართველოა

თბილისი, 2025

სტატისტიკური პუბლიკაცია
„ეს საქართველოა“

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - თბილისი, 2025

დიზაინერი:
ზაზა ნიკოლოზიშვილი

კრებულში მოტანილი ინფორმაციის გამოყენებისას, გთხოვთ, მიუთითოთ წყარო.

მის: თბილისი, 0180, საქართველო ცოტნე დადიანის ქ. №30
ტელ.: (+995 32) 236 72 10
ცხელი ხაზი: (+995 32) 260 11 60
ელ. ფოსტა: info@geostat.ge
WWW.GEOSTAT.GE

ძვირფასო მომხმარებელო,

წინამდებარე სტატისტიკური პუბლიკაცია წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ გამოცემას, რომელიც ასახავს ქვეყნის დემოგრაფიულ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პროცესებს.

სტატისტიკა საზოგადოებრივ პროცესთა ანარეკლია. ციფრები მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ იძენენ, როცა მათ მიმდინარე მოვლენებსა და ტენდენცებთან ერთად ვაანალიზებთ.

„ეს საქართველოა“ გთავაზობთ მოკლე, თუმცა ღრმა და მრავლისმომცველ ხედვას ჩვენი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური სურათის შესახებ. პუბლიკაციაში წარმოდგენილია ინფორმაცია, რომელიც ეხება მოსახლეობის სტრუქტურას, განათლებას, დასაქმებას, შემოსავლებს, საცხოვრებელ პირობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. აქ თავმოყრილი მონაცემები ასახავს ჩვენს ყოველდღიურობას - თუ როგორია ჩვენი დემოგრაფია, როგორ ვსწავლობთ, ვმუშაობთ, ვცხოვრობთ და ვვითარდებით.

ჩვენი მიზანია, ეს პუბლიკაცია არ დარჩეს მხოლოდ რიცხვების ერთობლიობად. გვსურს, ის გახდეს საშუალება, უკეთ დავინახოთ პროცესები, რომლებიც ციფრებს მიღმა დგას - პროცესები, რომლითაც ყალიბდება თანამედროვე საქართველო.

პუბლიკაციის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე: WWW.GEOSTAT.GE

ვიმედოვნებთ, რომ პუბლიკაცია **„ეს საქართველოა“** გახდება სანდო გზამკვლევი ყველასთვის, ვისაც სურს უკეთ გაეცნოს, რას ჰყვებიან ეს მონაცემები - როგორია საქართველო დღეს და როგორ ვითარდება ჩვენი საზოგადოება.

პატივისცემით,



გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

სარჩევი

I. მოსახლეობა: მიგრაცია და დაბერება **6**

- რამდენი ვართ 7
- სად მიდიან და საიდან მოდიან? 10
- სოფლიდან ქალაქში 13
- გახანგრძლივებული სიცოცხლე 15
- სულ უფრო მეტი ჭაღარა 16

II. შობადობა: თაობიდან თაობამდე **18**

- ახალი თაობის მოლოდინში 19
- რა ხდება სამეზობლოში? 21
- იმრავლონ ტყუპებმა 21
- „ქართლის დედა“ 22

III. ქორწინება და განქორწინება: ახალი ცხოვრების მოლოდინში **24**

- ახალი წყვილები 25
- გაყოფილი გზები 29

IV. ცხოვრების დონე: მდიდრები და ღარიბები **32**

- ჯიბე და საფულე 33
- ხარჯები და ვალები 35
- სიმდიდრე და სიღარიბე 37

V. დასაქმება და ხელფასები - ცხრიდან ექვსამდე **40**

- დასაქმებულები და სამუშაოს მაძიებლები 41
- საშოვნელად ძნელი, დასახარჯად ადვილი 48

VI. განათლება - სწავლა სიბერემდე **50**

VII. ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - ხანგრძლივი სიცოცხლე და ღირსეული სიბერე **56**

VIII. კულტურა და სპორტი - ჯანსაღი და შემოქმედებითი ცხოვრება **60**

IX. სამართალდარღვევები - დაიცავი კანონი **64**

X. ტურიზმი - სტუმრები და მასპინძლები **66**

- აღმოაჩინე საქართველო 67
- დედამიწის გარშემო 71
- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება 72

XI. ICT - ციფრული სამყარო 74

XII. მშენებლობა - ფუძიდან ჭერამდე 82

XIII. ენერგეტიკა - მეტი განახლებადი ენერგია 88

XIV. ტრანსპორტი - გზაში 94

- ცაში 95
- ზღვაში 98
- ხმელეთზე 100
- ავტოპარკი 103

XV. სოფლის მეურნეობა - სოფლის ნობათი 104

- მემცენარეობა - ვაზი და გუთანი 105
- მეცხოველეობა - პირუტყვი და ფრინველი 109
- აკვაკულტურა - ლოქო და კალმახი 113

XVI. გარემო - ბუნება მბრძანებელია 114

- ტყე შეუნახე შვილებსა 115
- სუფთა ჰაერი 116
- დაიცავი სისუფთავე 119

XVII. სამომხმარებლო ფასები: რა ღირს ცხოვრება საქართველოში? 120

XVIII. საქონლით საგარეო ვაჭრობა: საზღვრებს მიღმა 126

- პატარა, მაგრამ ღია ეკონომიკა 127
- სავაჭრო პარტნიორები ახლოს და შორს 128
- ლიდერი სასაქონლო პოზიციები ქვეყნებით 129
- საქართველო და მსოფლიო 130
- „დამზადებულია საქართველოში“ 130

XIX. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - საინვესტიციო გარემო 132

XX. ეკონომიკა - უკეთესი მომავლისთვის 136

- ეკონომიკის გულისცემა 137
- რეგიონები 142
- სამეზობლო 143

მოსახლეობა:
მიგრაცია და დაბერება

- რამდენი ვართ
- სად მიდიან და საიდან მოდიან?
- სოფლიდან ქალაქში
- გახანგრძლივებული სიცოცხლე
- სულ უფრო მეტი ჭაღარა

• რამდენი ვართ

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა, ერთი საუკუნის განმავლობაში, დაახლოებით 1.0 მილიონი კაცით გაიზარდა და 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 3.7 მლნ კაცი შეადგინა.

1926*

2.7

მლნ

2025

3.7

მლნ

* აღწერის შედეგები

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა

ათასი, 1 იანვრის მდგომარეობით



* აღწერის შედეგები

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა კლების ტენდენციით ხასიათდება. ამ მხრივ, 5 წლიანი ინტერვალების მიხედვით, ყველაზე კრიტიკული იყო 1992-1997 წწ პერიოდი, როდესაც საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1 057 ათასი კაცით (19%) შემცირდა. მოსახლეობის რიცხოვნობის კლების ტემპი შედარებით შემცირდა 2004 წლიდან და ბოლო 20 წლის განმავლობაში, საშუალო წლიური ზრდის ტემპმა -0.3% შეადგინა.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება 5 წლიანი ინტერვალებით

მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებას განაპირობებს ბუნებრივი (დაბადება და გარდაცვალება) და მექანიკური (მიგრაცია) მოძრაობა. 1960 წლიდან, საქართველოში, ბუნებრივი მატება კლების ტენდენციით ხასიათდება. 2000 წლებში და 2020 წლიდან დღემდე, გარდაცვლილთა რიცხოვნობა აღემატება ცოცხლად დაბადებულებისას, რაც მოსახლეობის რიცხოვნობის კლებას იწვევს.

1990-იანი წლებიდან, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობაზე, შედარებით მეტი გავლენა მიგრაციას აქვს. წლების მიხედვით, გამონაკლისების გარდა, მიგრაციული სალდო საქართველოში უარყოფითია. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1992-1997 წლები, როდესაც ემიგრანტთა რიცხოვნობამ 943 ათასი კაცით გადააჭარბა იმიგრანტთა რიცხოვნობას, რამაც, შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის მნიშვნელოვანი შემცირება განაპირობა.

ბუნებრივი მატება, 2024

-4 488 კაცი

მიგრაციული სალდო, 2024

14 386 კაცი

მოსახლეობის ზრდა, 2024

9 898 კაცი

მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება

ათასი



• სად მიდიან და საიდან მოდიან?

საქართველოს მიგრაციის სტატისტიკური მაჩვენებლების[1] თანახმად, 2002-2024 წლებში, ქვეყნის მოსახლეობაში, იმიგრანტთა საშუალოწლიური რაოდენობა 2.3%-ს, ხოლო ემიგრანტთა რაოდენობა 2.7%-ს შეადგენდა.

ემიგრანტთა და იმიგრანტთა რიცხოვნობის წილი ქვეყნის მოსახლეობაში

%



ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2000-იან წლებში, მიგრაციული სალდო უარყოფითია. გამონაკლისის სახით შეგვიძლია გამოვყოთ 2020, 2022 და 2024 წლები, როდესაც იმიგრანტთა რაოდენობა აღემატებოდა ემიგრანტთა რაოდენობას, რომლის ძირითად მიზეზად 2020 წელს - კოვიდ პანდემიის გავრცელება, ხოლო 2022 წელს - რუსეთ-უკრაინას შორის დაწყებული საომარი მოქმედებებია.

[1] საქართველოს სტატიტიკის ეროვნული სამსახური იყენებს მიგრანტად იდენტიფიცირების „6 თვეს + 1 დღე“ კრიტერიუმს საზღვრის კვეთის მონაცემებთან მიმართებით.

მოსახლეობის მიგრაცია

ათასი



2012-2024 წლებში, უარყოფითი მიგრაციული სალდო ფიქსირდება 50 წლამდე ასაკის მიგრანტთა შორის. აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის ემიგრანტთა მთლიანი რაოდენობა 90.3 ათასი კაცით აღემატება ამავე ასაკობრივი ჯგუფის იმიგრანტთა მთლიან რაოდენობას. განსხვავებული ტენდენციაა 50 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებში, კერძოდ, ამავე პერიოდში, აღნიშნული ასაკის 46.3 ათასი კაცით მეტი შემოვიდა ქვეყანაში, ვიდრე გავიდა.

იმიგრანტების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2012-2024 წლები



ემიგრანტების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2012-2024 წლები



აქვე უნდა აღინიშნოს მიგრანტთა რიცხოვნობის განაწილება მოქალაქეობის მიხედვით. 2012-2024 წლებში, საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციული სალდო უარყოფითია და -316 ათას კაცს შეადგენს, ხოლო სხვა ქვეყნის მოქალაქეთა სალდო დადებითია და 272 ათას კაცს უდრის.

2012-2024 წლებში, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შორის, როგორც ემიგრანტებში, ასევე იმიგრანტებში, ყველაზე მაღალი წილი მოდის რუსეთის ფედერაციაზე. აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეების წილი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიგრაციულ სალდოში 40%-ს შეადგენს. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ასევე მაღალი წილით გამოირჩევა უკრაინა, რომლის მოქალაქეებზეც მოდის უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიგრაციული სალდოს 11%.

2012-2023 წლებში, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შორის, მიგრაციული სალდოს განაწილება მოქალაქეობის მიხედვით

რუსეთი	უკრაინა	თურქეთი	აზერბაიჯანი
40%	11%	8%	6%



ბელარუსი	ინდოეთი	ირანი	დანარჩენი
5%	5%	4%	21%

ცალკე უნდა აღინიშნოს 2022 წელი, როდესაც რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში რუსეთის ფედერაციის, უკრაინის და ბელარუსიის მოქალაქეთა იმიგრაციის მაჩვენებელი. 2022 წელს, აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეთა წილი იმიგრანტთა მთლიანი რაოდენობის 54%-ს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე იმიგრანტთა მთლიანი რაოდენობის 77%-ს შეადგენს.

• სოფლიდან ქალაქში

საქართველოში მზარდი დინამიკით ხასიათდება საქალაქო დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი და 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 61.5%-ს შეადგენს.

მოსახლეობის განაწილება საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით

%



საქართველოში ოთხი ქალაქია, რომელთა მოსახლეობის რიცხოვნობა აღემატება 100 ათას კაცს. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქალაქ თბილისის მოსახლეობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 34.6%-ს შეადგენს. ბოლო ათწლეულში ზრდის ტემპით ხასიათდება ქალაქ ბათუმის მოსახლეობის რიცხოვნობაც, რომელიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რიგით მეორე დიდი ქალაქია საქართველოში.



მოსახლეობის რიცხოვნობა ქალაქებში, 100 ათასზე მეტი მცხოვრებით

ათასი, 1 იანვრის მდგომარეობით



• გახანგრძლივებული სიცოცხლე

კაცი

70.5 წელი

+3.0 წელი 1990 წელთან შედარებით



ქალი

79.3 წელი

+4.3 წელი 1990 წელთან შედარებით

** 2024 წლის მონაცემები*

საქართველოში მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2024 წელს იგი 74.9 წლით განისაზღვრა და 3.5 წლით აღემატება 1990 წლის მაჩვენებელს. ამასთან, განსხვავდება ქალისა და კაცის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა. 2024 წელს კაცის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობაა 70.5 წელი, რომელსაც 8.8 წლით აღემატება ანალოგიური მაჩვენებელი ქალისთვის და შეადგენს 79.3 წელს. 1990 წლიდან, ქალისა და კაცის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობებს შორის სხვაობა ძირითადად 7-9 წლებს შორის მერყეობდა.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას სქესის მიხედვით

წელი



• სულ უფრო მეტი ჭაღარა

1970 წელი - 8.2%

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ცვალებადია დინამიკაში. ამასთან, სულ უფრო მეტად იზრდება 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი. 1970 წლის მონაცემებით, 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის 8.2%-ს შეადგენდა.

2025 წელი - 16.6%

2025 წლისთვის, აღნიშნული მაჩვენებელი გაორმაგდა და 16.6% შეადგინა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, განსაკუთრებით შემცირდა 40 წლამდე ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და შესაბამისად, წილი ქვეყნის მოსახლეობაში.

მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ათასი, 1 იანვრის მდგომარეობით



მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

%, 1 იანვრის მდგომარეობით



საქართველოში უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის ზრდაზე ასევე იმოქმედა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდამ. ამასთან, შობადობის დონის შემცირებაც განაპირობებს მოსახლეობის დაბერებას. 1970 წელთან შედარებით 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 50 პროცენტით არის შემცირებული 10 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი, ხოლო 50 წლის და უფროსი ასაკის წილი 40 პროცენტით გაიზარდა.

საქართველოში მაღალია მიგრაციული ნაკადები (ემიგრანტებისა და იმიგრანტების რიცხოვნობა). მიგრანტთა ასაკობრივ სტრუქტურას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაზე.

სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, 1970



სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, 2025



შობადობა:
თაობიდან თაობამდე

- ახალი თაობის მოლოდინში
- რა ხდება სამეზობლოში?
- იმრავლონ ტყუპებმა
- „ქართლის დედა“

• ახალი თაობის მოლოდინში

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი

1962	1994	2024
2.65	1.53	1.67

როგორც დანარჩენ მსოფლიოში, 1960-იანი წლები საქართველოშიც შობადობის ბუმთან ასოცირდება და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2.65-ის დონეზე იყო. მას შემდეგ შობადობის დონე მკვეთრად შემცირდა და 1990-იან წლებში, ერთი ქალის მიერ გაჩენილ ბავშვთა საშუალო რიცხვი მინიმალურ მნიშვნელობამდე დაეცა და 1.53 შეადგინა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ პერიოდში, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა, კერძოდ, 2.31, დაფიქსირდა 2014 წელს, ხოლო 2024 წლისთვის, აღნიშნული მაჩვენებელი 1.67-მდე შემცირდა.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიგრაციას, იმისთვის, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა არ შემცირდეს, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2.10-ის დონეს არ უნდა ჩამოსცდეს.

საქართველოში კლება ეხება ყველა რიგითობის ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას. მათ შორის, თუ კი 1960-იან წლებში მაღალი პროცენტული წილი ეკავა რიგით მე-3 და შემდგომ ბავშვს ცოცხლად დაბადებულთა საერთო რაოდენობაში, 2024 წლის მონაცემებით მხოლოდ 29.0%-ია, რიგით მეორე ბავშვის წილია 33.7% და რიგით პირველი ბავშვის - 35.9%.

** 2024 წლის მონაცემები*

ცოცხლად დაბადებულთა წილი დაბადების რიგითობის მიხედვით

%



• რა ხდება სამეზობლოში?

მიუხედავად საქართველოში შობადობის დაბალი დონისა, 2023 წლის მონაცემების თანახმად, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი.

2023 წლის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი				
საქართველო	თურქეთი	სომხეთი	აზერბაიჯანი	რუსეთი
1.7	1.5	1.9	1.6	1.4

• იმრავლონ ტყუპებმა

საქართველოში, მრავალნაყოფიან შობადობას მზარდი ტრენდი ახასიათებს. 2024 წლის მონაცემებით, ცოცხლად დაბადებულთა 4.7% ტყუპია.

ტყუპების წილი ცოცხლად დაბადებაში

%



• „ქართლის დედა“

საქართველოში ყოველწლიურად იზრდება დედის საშუალო ასაკი, მათ შორის, დედის ასაკი პირველი ბავშვის დაბადებისას. 2024 წლის მონაცემებით, საქართველოში ქალი საშუალოდ 27.0 წლის ასაკში ხდება დედა, რაც 3.0 წლით აღემატება 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

დედის საშუალო ასაკი

წელი



მკვეთრად დაღმავალი ტრენდით ხასიათდება 25 წლამდე ასაკში მყოფი დედების მიერ ცოცხლად შობილთა რიცხოვნობა. დედის საშუალო ასაკის ზრდასთან ერთად, რიგით მე-3 და შემდგომი ბავშვის წილის კლება მიუთითებს მოსახლეობის აღწარმოების დონის კლებაზე: შვილების თაობა რაოდენობრივად ჩამორჩება მშობლების თაობის მოსახლეობის რიცხოვნობას.

ცოცხლად დაბადება 25 წლამდე და 40 წლის და უფროსი ასაკის დედათა მიერ

ათასი



ქორწინება და განქორწინება: ახალი ცხოვრების მოლოდინში

- ახალი წყვილები
- გაყოფილი გზები

• ახალი წყვილები

2014	2024
31 526	21 653

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა კლების ტენდენციით ხასიათდება. 2024 წელს დარეგისტრირდა 21 653 ქორწინება, რაც 31.3 პროცენტით ნაკლებია 10 წლის წინანდელ (2014 წლის) მაჩვენებელზე.

რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა



1990-იანი წლებიდან სტაბილურად მცირდება ახალგაზრდა ასაკში დაქორწინებულთა წილი. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 25 წლამდე ასაკის მოსახლეობა. 2000-იან წლებამდე, 25 წლამდე ასაკში ქორწინებების წილი მთლიან რაოდენობაში, კაცებს შორის 40%-ის, ხოლო ქალებში 70%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო უკანასკნელ წლებში ანალოგიური მაჩვენებელი კაცებს შორის 20%-ს, ხოლო ქალებს შორის 40%-ს ჩამოსცდა. შესაბამისად, საგრძნობლად გაიზარდა ქორწინებების წილი 25 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში.

ქორწინებების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კაცებში

%



ქორწინებების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქალებში

%



დაქორწინებულ კაცთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით



დაქორწინებულ ქალთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით



აღნიშნული ტენდენციიდან გამომდინარე, იზრდება ქორწინების საშუალო ასაკი. 1990-იან წლებში, კაცებს შორის დაქორწინებულთა საშუალო ასაკი 28-29 წელს შეადგენდა, ხოლო ქალებს შორის - 24-25 წელს. რაც შეეხება 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, შესაბამისად 35 და 32 წელი შეადგინა. აღნიშნული დინამიკა ძირითადად განპირობებულია პირველი ქორწინების საშუალო ასაკით. რაც შეეხება განმეორებითი ქორწინების საშუალო ასაკს, 1990 წლიდან 2024 წლის ჩათვლით პერიოდში, ძირითადად, კაცებში 41-47 წლებს შორის, ხოლო ქალებში 37-41 წლებს შორის მერყეობდა.

დაქორწინებულთა საშუალო ასაკი სქესისა და ქორწინების რიგითობის მიხედვით



აღსანიშნავია, რომ 1990 წელთან შედარებით 2024 წლის რეგისტრირებულ ქორწინებათა კლება, ორივე სქესისთვის ცალსახად შეეხო პირველად დაქორწინებულების სტატისტიკას - განახევრდა პირველ ქორწინებაში შემსვლელ კაცთა და ქალთა რიცხოვნობა, ხოლო განმეორებითი ქორწინებების რაოდენობა გაიზარდა.

• გაყოფილი გზები

ქორწინებების საპირისპიროდ, 2000-იანი წლებიდან, საქართველოში იზრდება რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა. თუ 2000-2005 წლებში რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა 2000-ზე ნაკლები იყო, 2017 წლიდან 10 000-ს გადააჭარბა, ხოლო 2024 წელს 13 520 ერთეული შეადგინა.



რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა



რაც შეეხება განქორწინებულთა ასაკობრივ მონაცემებს, განქორწინებათა მთლიან რაოდენობაში, განსაკუთრებით მაღალია 30-39 ასაკის პირებში განქორწინებათა შემთხვევების წილი.

განქორწინებების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კაცებში

%



განქორწინებების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქალებში

%



ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წლიდან, განქორწინებათა მთლიან რაოდენობაში, სტაბილურად იზრდება განმეორებით ქორწინებაში მყოფი პირების განქორწინების წილი.

განმეორებით ქორწინებაში მყოფების განქორწინებების წილი სქესის მიხედვით

%



2024 წლის მონაცემებით, ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში 11.4 წელს შეადგენს. მათ შორის, კაცების პირველი ქორწინება გრძელდება საშუალოდ 12.3 წელს, ხოლო განმეორებითი - 4.2 წელს. ქალების შემთხვევაში, პირველი ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა 12.3 წელია, ხოლო განმეორებითის - 3.5 წელი.

ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა

წელი



ცხოვრების დონე:
მდიდრები და ღარიბები

- ჯიბე და საფულე
- ხარჯები და ვალები
- სიმდიდრე და სიღარიბე

• ჯიბე და საფულე

2024 წელს საქართველოში საშუალო თვიური შემოსავალი საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე 1 806.9 ლარი იყო, რაც 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.6-ჯერ მეტია. 2004 წლიდან მოყოლებული, 20 წლიან პერიოდში, აღნიშნული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გამონაკლისი მხოლოდ 2020 წელი იყო, რაც მეტწილად კოვიდ-19 პანდემიით იყო განპირობებული.

2024 წელი - 1 806.9₾

6.6-ჯერ 2004 წელთან შედარებით

2024 წელი
1 903.6₾

2024 წელი
1 641.7₾

ამავე პერიოდში, საშუალო თვიური შემოსავლები საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე ქალაქის ტიპის დასახლებებში 7.6-ჯერ გაიზარდა და 1 903.6 ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 5.4-ჯერ გაიზარდა და 1 641.7 ლარი შეადგინა.

საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე

ლარი



შინამეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები წარმოადგენს, რომლის წილიც 2024 წელს, 2004 წელთან შედარებით, 23.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 94.8 პროცენტი შეადგინა.

ფულადი შემოსავლებისა და ტრანსფერტების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებს უჭირავს, რომლის წილი 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 47.6 პროცენტი შეადგინა.

ერთ შინამეურნეობაზე საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება

ლარი

	2004	2011	2018	2024	2024 / 2004
შემოსავლები, სულ	**272.9**	**605.6**	**1,005.0**	**1,806.9**	**6.6**
ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	**193.6**	**522.8**	**932.8**	**1,713.5**	**8.9**
დაქირავებული შრომიდან	71.9	229.1	463.7	816.2	11.3
თვითდასაქმებიდან	38.3	57.0	106.5	217.0	5.7
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	29.9	40.8	57.4	92.8	3.1
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	2.5	6.2	14.1	11.3	4.5
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	15.7	85.1	166.6	381.4	24.3
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	13.1	29.4	40.2	60.8	4.7
საჩუქრად მიღებული ფული	22.2	75.1	84.2	133.9	6.0
არაფულადი შემოსავლები	**79.3**	**82.8**	**72.2**	**93.4**	**1.2**

• ხარჯები და ვალები

2024 წელს საქართველოში საშუალო თვიური სამომხმარებლო ხარჯები საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე 1 306.0 ლარი იყო, რაც 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3.9-ჯერ მეტია. 2004 წლიდან მოყოლებული, 20 წლიან პერიოდში, აღნიშნული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გამონაკლისი მხოლოდ 2020 წელი იყო, რაც მეტწილად კოვიდ-19 პანდემიით იყო განპირობებული.

2024 წელი - 1 306.0₾

3.9-ჯერ 2004 წელთან შედარებით

2004 წელთან შედარებით, 2024 წელს საშუალო თვიური სამომხმარებლო ხარჯები საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე ქალაქის ტიპის დასახლებებში 4.2-ჯერ გაიზარდა და 1 382.4 ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 3.5-ჯერ გაიზარდა და 1 175.4 ლარი შეადგინა.

2024 წელი
1 382.4₾

2024 წელი
1 175.4₾

საშუალო თვიური სამომხმარებლო ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე

ლარი



შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯებში ძირითადი წილი უჭირავს სამომხმარებლო ფულად ხარჯებს, რომლის წილიც 2024 წელს, 2004 წელთან შედარებით, 16.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 92.8 პროცენტი შეადგინა.

სამომხმარებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი სურსათზე, სასმელზე და თამბაქოს ნაწარმზე გაწეულ ხარჯებს უჭირავს და 38.1 პროცენტს შეადგენს, რაც 15.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ერთ შინამეურნეობაზე საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება

ლარი

	2004	2011	2018	2024	2024 / 2004
სამომხმარებლო ხარჯები, სულ	**331.3**	**572.2**	**808.7**	**1 306.0**	**3.9**
სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	**252.0**	**489.3**	**736.5**	**1 212.6**	**4.8**
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	134.7	195.3	275.6	462.6	3.4
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	14.7	17.9	32.4	64.7	4.4
საოჯახო მოხმარების საქონელზე	9.2	18.5	30.0	57.0	6.2
ჯანმრთელობის დაცვაზე	15.7	56.7	91.7	133.4	8.5
საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე	22.5	61.8	95.8	140.7	6.3
ტრანსპორტზე	23.9	46.7	78.8	131.3	5.5
განათლებაზე	7.0	18.8	25.2	34.2	4.9
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	24.3	73.7	106.8	188.7	7.8
არაფულადი ხარჯები	**79.3**	**82.8**	**72.2**	**93.4**	**1.2**

• სიმდიდრე და სიღარიბე

2024 წელს საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი) 2004 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 24.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.4 პროცენტი შეადგინა.

24.9% 2004 წელთან შედარებით

11.9%

2024 წელს, 2004 წელთან შედარებით, სოფლის ტიპის დასახლებებში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 22.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.9 პროცენტი შეადგინა,

22.2% 2004 წელთან შედარებით

7.8%

ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებებში 26.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.8 პროცენტი შეადგინა.

26.6% 2004 წელთან შედარებით

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი დასახლების ტიპის მიხედვით



სიღარიბე ქალებში, 2024

9.0 %

25.1% 2004 წელთან შედარებით

სიღარიბე კაცებში, 2024

9.8 %

24.7% 2004 წელთან შედარებით

ამავე პერიოდში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალებში შემცირებულია 25.1 პროცენტული პუნქტით და 9.0 პროცენტს შეადგენს, ხოლო კაცებში - 24.7 პროცენტული პუნქტით და 9.8 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2004-2024 წლებში, სქესის მიხედვით.

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი სქესის მიხედვით



18 წლამდე ასაკის მოსახლეობაში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 25.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.1 პროცენტი შეადგინა, 18-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში 24.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფში - 26.2 პროცენტული პუნქტით და 6.7 პროცენტს გაუტოლდა.

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



დასაქმება და ხელფასები - ცხრიდან ექვსამდე

- დასაქმებულები და სამუშაოს მაძიებლები
- საშოვნელად ძნელი, დასახარჯად ადვილი

• დასაქმებულები და სამუშაოს მაძიებლები

2010-2024 წლებში, სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე კაცებში დაახლოებით 1.5-ჯერ აღემატებოდა ქალების მაჩვენებელს. კაცებში, ქალებთან შედარებით აქტიურობის მაღალი დონე მეტწილად ორი მიზეზითაა განპირობებული: საპენსიო ასაკის მოსახლეობაში შრომის ბაზარზე აქტივობა საგრძნობლად დაბალია, ამ ასაკში კი მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი ქალია და აუნაზღაურებელ შრომაზე ქალები გაცილებით მეტ დროს ხარჯავენ კაცებთან შედარებით, რაც შრომის ბაზარზე მათ დაბალ აქტივობას განაპირობებს.

2024

66.2 % **44.9 %**

1 629 464

სამუშაო ძალა სულ, 2024

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით



უმუშევრობა ქალებში, 2024

11.1%

13.9% 2010 წელთან შედარებით

უმუშევრობა კაცებში, 2024

16.1%

12.8% 2010 წელთან შედარებით

2010-2024 წლების განმავლობაში უმუშევრობის დონე სტაბილურად კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და 2024 წელს ის 13.9 პროცენტს შეადგენდა. ამ პერიოდში უმუშევრობის დონე კაცებში 12.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 16.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო ქალებში 13.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.1 პროცენტით განისაზღვრა.

უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით



2024 წელს, 2010 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე მკვეთრადაა შემცირებული როგორც ქალაქის, ისე სოფლის ტიპის დასახლებებში. კერძოდ, ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 15.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 10.2 პროცენტული პუნქტით.

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით

%



აღსანიშნავია, რომ 25 წლამდე ასაკის პირებში უმუშევრობის დონე დაახლოებით ორჯერ მეტია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რაც განპირობებულია ერთის მხრივ შრომის ბაზარზე ახლაგაზრდების მაღალი აქტიურობით, რათა მიაღწიონ ფინანსურ დამოუკიდებლობას, მეორეს მხრივ კი კონკურენტუნარიანი შრომის ბაზრით, სადაც მცირე გამოცდილებით ჩართვა უფრო რთულია. 2024 წელს 15-24 წლის ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე (28.9%) 1.8-ჯერ აღემატებოდა 25-44 წლის ასაკის მოსახლეობის ანალოგიურ მაჩვენებელს (16.0%) და 2.5-ჯერ აღემატებოდა 45-64 წლის მოსახლეობის ანალოგიურ მაჩვენებელს (11.4%).



უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

%



2024 წელს, 2010 წელთან შედარებით, დასაქმების დონე 9.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 47.1 პროცენტი იყო. აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 11.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 55.6 პროცენტს მიაღწია, ხოლო ქალებში 8.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 39.9 პროცენტი შეადგინა.

დასაქმების დონე სქესის მიხედვით

%



2010 ..... **თვითდასაქმებულთა წილი** 2024

39.1% **31.5%**

2010 წლიდან მოყოლებული თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში კლების ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული მაჩვენებელი 2010 წელს 39.1 პროცენტი იყო, ხოლო 2024 წელს 31.5 პროცენტამდე შემცირდა.

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით



ყოველი 10 დასაქმებულიდან დაახლოებით 7 მომსახურების სფეროშია დასაქმებული, 2 - სოფლის მეურნეობაში, 1 - მრეწველობაში. ბოლო 5 წლის განმავლობაში, დასაქმებულთა წილი მომსახურებისა და მრეწველობის სფეროებში მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, სოფლის მეურნეობის სფეროში კი - კლებადი ტენდენციით.

დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სახეების მიხედვით



კაცები ძირითად სამუშაოზე კვირაში საშუალოდ 6 საათით მეტს მუშაობენ ქალებთან შედარებით. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმებულები საშუალოდ 4 საათით მეტს მუშაობენ ვიდრე სოფლად დასაქმებულები.

ძირითად სამუშაოზე კვირაში ნამუშევარი ჩვეულებრივი საათების საშუალო რაოდენობა

საათი

	2020	2021	2022	2023	2024
სულ	**42.1**	**41.4**	**41.8**	**41.5**	**41.1**
სქესი					
ქალი	39.1	38.2	38.4	38.2	37.9
კაცი	44.4	44.0	44.4	44.1	43.7
დასახლების ტიპი					
ქალაქი	44.1	42.9	43.2	42.9	42.4
სოფელი	39.2	39.2	39.7	39.3	39.1

• საშოვნელად ძნელი, დასახარჯად ადვილი

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ორ ათწლეულზე მეტია სტაბილურად ზრდადია. 2024 წელს, 2002 წელთან შედარებით საშუალო ხელფასი 18.1-ჯერ არის გაზრდილი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2002-2024 წლებში.

2024 წელი - 2 058.7₾

18.1-ჯერ 2002 წელთან შედარებით

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი

ლარი



აღსანიშნავია, რომ კაცები საშუალოდ 1.5-ჯერ მეტ ანაზღაურებას იღებენ ვიდრე ქალები. 2002 წლიდან 2023 წლამდე ქალების ნომინალური ხელფასი 18.8-ჯერ გაიზარდა, კაცების კი 14.0-ჯერ.

არასახელმწიფო სექტორში საშუალო ხელფასი საგრძნობლად აღემატება სახელმწიფო სექტორის ამავე მაჩვენებელს. 2002 წელთან შედარებით, 2023 წელს სახელმწიფო სექტორში საშუალო ხელფასი 14.3-ჯერ არის გაზრდილი, კერძო სექტორში კი - 13.2-ჯერ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესისა და საკუთრების ფორმების მიხედვით 2002-2023 წლებში.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი

ლარი

	2002	2009	2016	2023
სულ	**113.5**	**556.8**	**940.0**	**1 766.8**
სქესი				
ქალი	75.7	398.3	731.2	1 425.4
კაცი	150.1	690.8	1 116.6	2 099.8
საკუთრების ფორმა				
სახელმწიფო	104.1	512.6	855.2	1 487.5
არასახელმწიფო	145.1	608.5	990.9	1 907.9

განათლება -
სწავლა სიბერემდე

2024-2025

2 294
სკოლა

640 686
მოსწავლე

309 684
გოგო

4.0% 2009/2010 წლებთან შედარებით

331 002
ბიჭი

1.2% 2009/2010 წლებთან შედარებით

2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში სულ 2 294 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა) ფუნქციონირებდა, სადაც 640.7 ათასი მოსწავლე სწავლობდა, აქედან 310 ათასი გოგონაა, ხოლო 331 ათასი ბიჭი. 2009/2010 სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა რიცხოვნობა 2.6 პროცენტით გაიზარდა. ბიჭი მოსწავლეების რიცხოვნობა გაიზარდა 1.2 პროცენტით, ხოლო გოგონების 4.0 პროცენტით.

მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

ათასი





2024/2025 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 66 ათასი პედაგოგი იყო, რაც 2009/2010 სასწავლო წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 17.4 პროცენტით ნაკლებია. პედაგოგების დიდი უმრავლესობა ქალია, მათი წილი 2003-2004 წლებში 85.9 პროცენტი იყო, 2024/2025 წლებში კი კიდევ უფრო მეტი - 87.5 პროცენტი.

პედაგოგების რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

ათასი



2024 წელს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 9.5 ათასი იყო, რაც 19.5 პროცენტით ნაკლებია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ქალების რიცხოვნობა 22.0 პროცენტითაა შემცირებული, ხოლო კაცების - 15.3 პროცენტით.

2024

9 537

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურდამთავრებულთა რიცხოვნობა

ათასი



პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალი მასწავლებლების წილი მკვეთრად აღემატება კაცების წილს. 2015 წელს, ქალი მასწავლებლების წილი მთლიან რიცხოვნობაში 68.4 პროცენტი იყო, 2024 წელს კი 70.7 პროცენტი შეადგინა.

მასწავლებლების რიცხოვნობა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ათასი



სტუდენტები - 2024/2025

187 799

30.5% 2005/2006 წლებთან შედარებით

ქალი
99 230

კაცი
88 569

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2024/2025 სასწავლო წელს 187.8 ათასი სტუდენტი სწავლობდა, რაც 30.5 პროცენტით აღემატება 2005/2006 სასწავლო წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2024/2025 სასწავლო წელს ქალი სტუდენტების წილი 52.8 პროცენტს შეადგენდა, რაც 0.9 პროცენტული პუნქტით აღემატება 2005/2006 სასწავლო წლის ამავე მაჩვენებელს.

სტუდენტთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით

სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ათასი



2024/2025 სასწავლო წელს პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა 11.5 ათასს შეადგენდა, რაც 30.3 პროცენტით მეტია 2005/2006 სასწავლო წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნულ პერიოდში ქალი პროფესორ მასწავლებლების წილი 49.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 2024/2025 სასწავლო წელს 59.3 პროცენტი შეადგინა.

პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით

სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ათასი კაცი)



2024 წელს, 2014 წელთან შედარებით, დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 1.3-ჯერ გაიზარდა და 438 შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა სადოქტორო პროგრამების მიხედვით.

დოქტორანტების რიცხოვნობა სადოქტორო პროგრამების მიხედვით

კაცი

	2014	2019	2024
სულ	**349**	**487**	**438**
მათ შორის:			
განათლება	21	7	16
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	94	87	58
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	68	187	209
მეცნიერება	53	70	41
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	57	68	37
სოფლის მეურნეობა	6	8	11
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	34	45	57
მომსახურება	16	15	9

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - ხანგრძლივი სიცოცხლე და ღირსეული სიბერე

ექიმები საქართველოში

24 428

13.6% 2020 წელთან შედარებით

ექთნები საქართველოში

21 468

3.3% 2020 წელთან შედარებით

2023 წელს, 2020 წელთან შედარებით, ექიმების რიცხოვნობა 13.6 პროცენტით გაიზარდა და 24.4 ათასი შეადგინა, ხოლო ექთნების რიცხოვნობა 3.3 პროცენტით შემცირდა და 21.5 ათასი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ექიმების და ექთნების რიცხოვნობა 2020-2023 წლებში.

ექიმების და ექთნების რიცხოვნობა

ათასი



2023 წელს, 2010 წელთან შედარებით, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა რაოდენობა 35.7 პროცენტით გაიზარდა და 2 295 ერთეული შეადგინა.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა რაოდენობა,

ერთეული



პენსიონერები საქართველოში

864 312

24.0% 2014 წელთან შედარებით

612 080

252 232

2024 წელს, 2014 წელთან შედარებით პენსიის მიმღებთა რიცხოვნობა 24.0 პროცენტით გაიზარდა და 864 ათასი შეადგინა. პენსიის მიმღებ მოსახლეობაში 70.8 პროცენტი ქალი იყო, 29.2 პროცენტი - კაცი.

პენსიის მიმღებთა რიცხოვნობა

წლის ბოლოს, ათასი



სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რიცხოვნობამ 185 ათასი შეადგინა, რომელთაგან 32.7 პროცენტს ქალები შეადგენენ, ხოლო 67.3 პროცენტს - კაცები.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სოციალური პაკეტის მიმღებთა განაწილება სქესის მიხედვით.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა

წლის ბოლოს, ათასი



წყარო: *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

კულტურა და სპორტი - ჯანსაღი და შემოქმედებითი ცხოვრება

სპექტაკლები საქართველოში

4 518

40.6% 2010 წელთან შედარებით



პროფესიული თეატრების მიერ ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2024 წელს 4.5 ათასი სპექტაკლი ჩატარდა, რაც 40.6 პროცენტით აღემატება 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ქვეყანაში ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა 2010-2024 წლებში.

ქვეყანაში ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა

ათასი



2024 წელს, 2010 წელთან შედარებით, საზღვარგარეთ ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა 3.2-ჯერ არის გაზრდილი და 136-ს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საზღვარგარეთ ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა 2010-2024 წლებში.

საზღვარგარეთ ჩატარებული სპექტაკლების რაოდენობა

ერთეული



მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხოვნობა 2024 წელს, 2008 წელთან შედარებით 4.4-ჯერ გაიზარდა და 1 912.3 ათასი კაცი შეადგინა. საშუალოდ ერთ მუზეუმზე 7.3 ათასი დამთვალიერებელი მოდის.

მუზეუმების და მუზეუმ-ნაკრძალების დამთვალიერებელთა რიცხოვნობა

ათასი



2024 წელს არაოლიმპიურ სახეობებში აღებული მედლების რაოდენობამ 473 ერთეული შეადგინა, ოლიმპიურ სახეობებში 882 ერთეული, ხოლო პარალიმპიურ სახეობებში - 281 ერთეული.

სპორტულ სახეობებში აღებული მედლების რაოდენობა სქესის მიხედვით, 2024 წელი

ერთეული

არაოლიმპიური სახეობები

ოლიმპიური სახეობები

პარალიმპიური სახეობები

სამართალდარღვევები -
დაიცავი კანონი

ავტოსაგზაო შემთხვევები საქართველოში

5 866

2024 წელს, 2004 წელთან შედარებით, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა თითქმის ორჯერ გაიზარდა და 5 866 ერთეული შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა 2004-2024 წლებში.

ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა

ერთეული



ტურიზმი -
სტუმრები და მასპინძლები

- აღმოაჩინე საქართველო
- დედამიწის გარშემო
- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება

უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები

6 456 064

4.6% 2023 წელთან შედარებით

საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები

19 996 892

2.5% 2023 წელთან შედარებით

ტურიზმის ინდუსტრიამ COVID-19 პანდემიის ნეგატიური გავლენისგან გათავისუფლება 2022 წელს საზღვრების გახსნის შემდეგ შეძლო. დადებითი ტენდენცია მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა. კერძოდ, 2024 წელს უცხოელების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 4.6 პროცენტით გაიზარდა და 6.5 მილიონს მიაღწია, ხოლო ადგილობრივებმა საქართველოს ტერიტორიაზე, 2023 წელთან შედარებით, 2.5 პროცენტით მეტი, 19.7 მილიონი, ვიზიტი განახორციელეს.

ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა

მილიონი



საზღვარგარეთიდან ვიზიტების უმეტესობა განხორციელდა რუსეთის ფედერაციის (22.0%), თურქეთისა (20.7%) და სომხეთის (14.7%) მოქალაქეების მიერ. საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე მონახულებადი ადგილი დედაქალაქი თბილისია, სადაც 2024 წელს უცხოელებმა 3.4 მილიონი ვიზიტი განახორციელეს. ყველაზე პოპულარული ადგილების ათეული 2024 წელს ასე გამოიყურება:

უცხოელების მიერ ყველაზე მონახულებადი ადგილები (ვიზიტების რაოდენობა), 2024 წელი

ათასი



2024 წელს საქართველოში უცხოელები უმეტესად დასვენების/გართობის მიზნით ჩამოვიდნენ (ვიზიტების 51.9%), ხოლო ადგილობრივები ქვეყნის ტერიტორიაზე ყველაზე ხშირად მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით გადაადგილდნენ (51.4%).

უცხოელების ვიზიტების მიზნები, 2024 წელი

%



ადგილობრივი ვიზიტების მიზნები, 2024 წელი

%



უცხოელების ხარჯები

14.3 მილიარდი ₾

2024 წელს უცხოელების მიერ საქართველოში ვიზიტისას დახარჯულმა თანხამ 14.3 მილიარდი ლარი შეადგინა. აღნიშნული ხარჯების უმეტესობა განთავსებასა (33.7%) და საყიდლებზე (24.1%) დაიხარჯა.

უცხოელი ვიზიტორების ხარჯები

ათასი ლარი



ადგილობრივი ვიზიტორების ხარჯები

3.6 მილიარდი ₾

7.9% 2023 წელთან შედარებით

ადგილობრივების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას დახარჯულმა თანხამ 2024 წელს 3.6 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 7.9 პროცენტით აღემატება. აღნიშნული თანხის უმეტესობა საყიდლებსა (35.7%) და კვებაზე (24.8%) დაიხარჯა.

ადგილობრივი ვიზიტორების ხარჯები

ათასი ლარი



• დედამიწის გარშემო

2 200 000

0.1% 2023 წელთან შედარებით

2024 წელს საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელდა 2.2 მილიონი ვიზიტი, რაც 0.1 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.



საზღვარგარეთ ვიზიტების რაოდენობა

ათასი



ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თურქეთში (37.4%), რუსეთის ფედერაციასა (18.3%) და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში (16.3%). აღნიშნული ვიზიტებისას დაიხარჯა 2.3 მილიარდი ლარი, რომლის უმეტესი წილი მოდის საყიდლებსა (38.1%) და კვებაზე (27.0%).

• კეთილი იყოს თქვენი მობრძანება

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა ყოველწლიური მზარდი ტენდენციით ხასიათდება. გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც COVID-19 პანდემიის პერიოდია, რომლის შემდეგ ტენდენცია კვლავ შენარჩუნდა და 2023 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2 488 ერთეული შეადგინა.

სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა

ერთეული



2023 წელს სასტუმროებში ადგილების საერთო რაოდენობამ 107.7 ათასი ერთეული შეადგინა, რაც 10.1 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

ნომრებისა და ადგილების რაოდენობა, ათასი		
წელი	ნომრები	ადგილები
2006	10.0	20.4
2007	8.3	16.7
2008	8.6	17.6
2009	9.4	18.7
2010	10.6	21.1
2011	12.9	25.8
2012	14.5	33.0
2013	15.4	32.2
2014	18.2	38.4
2015	23.1	48.4

ნომრებისა და ადგილების რაოდენობა, ათასი		
წელი	ნომრები	ადგილები
2016	28.4	61.4
2017	30.7	67.0
2018	33.2	72.6
2019	35.1	76.3
2020	26.9	57.9
2021	43.1	87.8
2022	45.8	97.8
2023	50.1	107.7

2023 წელს საქართველოში არსებული სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები 5.0 მილიონ სტუმარს მოემსახურა, რაც 1.2 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. სტუმართა 60.2 პროცენტს უცხოელები წარმოადგენდნენ. მათგან უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის (7.1%), ისრაელისა (7.0%) და არაბთა გაერთიანებული ემირატების (5.4%) მოქალაქეები იყვნენ. ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოსულ სტუმართა რაოდენობამ 215.3 ათასი შეადგინა, რომლის უდიდესი წილი (29.2%) გერმანიის მოქალაქეებს ეკავათ.

სტუმრების რაოდენობა მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით

ათასი



ICT -
ციფრული სამყარო

- ინტერნეტთან წვდომა საწარმოებში
- ელექტრონული კომერცია
- ვებ-საიტები და ვებ-გვერდები
- „ჭკვიანი საგნები“
- ხელოვნური ინტელექტი
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში

• ინტერნეტთან წვდომა საწარმოებში

2024 წელი - 95.2%

კავშირი
FTTH, DSL და ა.შ.

73.3%

საშუალო სიჩქარე საწარმოებში, 2024

< 2 MBIT/S	2-10 MBIT/S	10-30 MBIT/S	30-100 MBIT/S	>100 MBIT/S
2.5%	14.5%	30.0%	27.9%	25.1%

2024 წელს იმ საწარმოთა პროცენტულმა წილმა, რომელთა დასაქმებულებს ჰქონდათ წვდომა ინტერნეტთან სამუშაო ადგილიდან, შეადგინა 95.2%. ამასთან, საწარმოთა 73.3 პროცენტი ინტერნეტთან კავშირის უზრუნველსაყოფად იყენებდა ფიქსირებული კავშირის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ოპტიკურ-ბოჭკოვანი (FTTH), საკაბელო ტექნოლოგიები, DSL კავშირი (ADSL, SDSL, VDSL) და ა.შ.

2024 წელს საწარმოთა უმრავლესობა იყენებს 10-30 Mbit/s სიჩქარის ინტერნეტს, რაც შეეხება საწარმოთა ზომის მიხედვით, მაშინ როცა მცირე საწარმოთა უმეტესობა (30.5%) იყენებს 10-30 Mbit/s სიჩქარის ინტერნეტს, საშუალო და მსხვილი საწარმოები უპირატესობას ანიჭებენ 30-100 Mbit/s სიჩქარის ინტერნეტს, შესაბამისად 36.1% და 39.2%-ით.

საწარმოთა წილი ინტერნეტთან კავშირის საშუალო სიჩქარის მიხედვით

%



• ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲐ

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲔᲑᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲝᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ: ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲕᲔᲑ ᲡᲐᲘᲢᲘᲗ ᲐᲜ ᲐᲞᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘᲗ (ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ) ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲕᲔᲑ ᲡᲐᲘᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲜ ᲐᲞᲚᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲐᲜ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲕᲔᲑ ᲡᲐᲘᲢ/ᲕᲔᲑ ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲜᲐᲘᲠᲘᲐ:

ᲕᲔᲑ-ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

%



ᲕᲔᲑ-ᲡᲐᲘᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲠᲧᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲓᲔᲑᲐ. 2024 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲬᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲕᲔᲑ ᲒᲕᲔᲠᲓᲡ ᲐᲜ ᲕᲔᲑ ᲡᲐᲘᲢᲡ, ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ 13.9%-ᲘᲗ. ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲖᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲡᲮᲕᲘᲚ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲕᲔᲑ ᲡᲐᲘᲢᲘᲡ/ᲕᲔᲑ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲬᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲕᲔᲑᲡᲐᲘᲢᲘ/ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ

%



• „ჭკვიანი საგნები“

„ჭკვიან“ საგნებს, 2024 წლის მდგომარეობით საწარმოთა 12.1% იყენებდა, საიდანაც მსხვილ საწარმოებზე მოდის დიდი წილი. აღსანიშნავია, რომ სამივე ზომის საწარმოები „ჭკვიან“ საგნებს ძირითადად იყენებენ შენობის უსაფრთხოებისთვის.

• ხელოვნური ინტელექტი

2024 წლის მდგომარეობით ხელოვნურ ინტელექტს იყენებდა საწარმოთა 2.2%, აქედან 41.8%-მა შეიძინა გამოსაყენებლად მზა კომერციული პროგრამული უზრუნველყოფა ან სისტემები და მხოლოდ საწარმოთა 15.6%-ში შეიმუშავა საკუთარმა თანამშრომლებმა.

საწარმოთა მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების განაწილება წარმომავლობის მიხედვით

%



• საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შინამეურნეობებში

ინტერნეტი შინამეურნეობებში, 2024

91.5%

2.6% 2023 წელთან შედარებით

94.5%

1.4% 2023 წელთან შედარებით

ქალაქში

87.5%

4.1% 2023 წელთან შედარებით

სოფელში

2024 წლის მონაცემების მიხედვით, ინტერნეტით უზრუნველყოფილია საქართველოს შინამეურნეობების 91.5 პროცენტი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.6 პროცენტული პუნქტით აღემატება. ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი 1.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა საქალაქო დასახლებებში, ხოლო 4.1 პროცენტული პუნქტით სასოფლო დასახლებებში და შესაბამისად, 94.5 და 87.5 პროცენტი შეადგინა. რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარის ა.რ.-სა და თბილისში დაფიქსირდა და შესაბამისად, 97.8 და 95.8 პროცენტი შეადგინა.

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ინტერნეტის გამოყენების ძირითად მიზნებს წარმოადგენს ინტერნეტ (აუდიო/ვიდეო) კავშირი (94.7%), სოციალური ქსელების გამოყენება (94.6%), ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა (50.4%), ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება (47.2%), ონლაინ ახალი ამბების/გაზეთების/ჟურნალების წაკითხვა (46.6%), საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება (43.1%), ელ. ფოსტის მიღება/გაგზავნა (37.9%), პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის (გარდა თამაშებისა) ჩამოტვირთვა (15.5%) და სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა (11.8%).

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 31.3 პროცენტმა ინტერნეტის მეშვეობით შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი ან მომსახურება. აღ-

ნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობები განსხვავებულია დასახლების ტიპის მიხედვით: საქალაქო დასახლებებში - 37.3 პროცენტია, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 19.9 პროცენტი. სქესის მიხედვით მაჩვენებლის მნიშვნელობები ქალებისათვის 32.4 პროცენტს, კაცებისათვის კი 29.9 პროცენტს შეადგენს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მაჩვენებლის მნიშვნელობა ყველაზე მაღალია 15-29 წლის ასაკის მოსახლეობაში და 48.4 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი დასახლების ტიპისა და რეგიონების მიხედვით, 2024 წელს.

ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი, 2024

%



2024 წლის მონაცემების მიხედვით, კომპიუტერით უზრუნველყოფილია საქართველოს შინამეურნეობების 57.6 პროცენტი. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობამ საქალაქო დასახლებებში 66.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 45.8 პროცენტი. რეგიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აჭარის ა.რ.-სა და თბილისში დაფიქსირდა და შესაბამისად - 69.6 და 69.4 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კომპიუტერით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი დასახლების ტიპისა და რეგიონების მიხედვით, 2024 წელს.

კომპიუტერით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი, 2024

%



2024 წლის მონაცემების მიხედვით, 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 90.8 პროცენტი ფლობს მობილურ ტელეფონს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.0 პროცენტული პუნქტით მეტია. აღსანიშნავია, რომ მაჩვენებლის მნიშვნელობა უფრო მაღალია ქალაქის ტიპის დასახლებებში და 93.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 86.6 პროცენტს. ასაკის მიხედვით, მობილურის ფლობა ყველაზე მეტად გავრცელებულია 15-29 წლის ასაკის მოსახლეობაში (98.1%), ხოლო ყველაზე ნაკლებად 6-14 წლის ასაკის მოსახლეობაში (63.5%).

6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 80.7 პროცენტი ფლობს სმარტფონს, რაც გასული წლის მაჩვენებელს 2.5 პროცენტული პუნქტით აღემატება. მობილური ტელეფონის მსგავსად, სმარტფონის ფლობა მეტად გავრცელებულია ქალაქის ტიპის დასახლებებში, ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებებში (85.9% და 72.4%, შესაბამისად). ასაკის მიხედვით, 15-59 წლის ასაკის მოსახლეობაში 10-დან 9 ფლობს სმარტფონს, ხოლო 6-14 წლის და 60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობისათვის მაჩვენებლის მნიშვნელობა დაბალია (63.1% და 58.9%, შესაბამისად).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 6 წლის და უფროსი ასაკის იმ მოსახლეობის პროცენტული წილი, ვინც ფლობს სმარტფონს.

6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ფლობს სმარტფონს, 2024

%



მშენებლობა -
ფუძიდან ჭერამდე

- მშენებლობაზე გაცემული ნებართვები
- ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტები
- გაძვირდა თუ გაიაფდა მშენებლობა საქართველოში?

• მშენებლობაზე გაცემული ნებართვები

ნებართვების რაოდენობა*

12 080



ფართობი* მ²

12 040 430

** 2024 წლის მონაცემები*

მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა



2024 წელს ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 46.8 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 10.5 პროცენტი – ქვემო ქართლის რეგიონზე, 8.2 პროცენტი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე და 8.0 პროცენტი – კახეთის რეგიონზე.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2024 წელს



• ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტები

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების რაოდენობა





2024 წელს ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების 36.2 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 13.2 პროცენტი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, 12.7 პროცენტი – კახეთის რეგიონზე და 7.7 პროცენტი – იმერეთის რეგიონზე.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2024 წელს



2024 წელს გაცემული ნებართვების დაახლოებით 70% მოდის მრავალფუნქციური დანიშნულებისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი შენობების მშენებლობაზე, დანარჩენი კი სავაჭრო ობიექტებზე, სამრეწველო და სასაწყობო შენობებზე, სასოფლო-სამეურნეო და სხვა დანიშნულების შენობებზე გაცემული ნებართვებია.

შინამეურნეობების განაწილება საცხოვრისის ბოლო რეკონსტრუქციის წლების მიხედვით, 2022 წელი

%



შინამეურნეობების წილი საცხოვრისის თბოიზოლირებული გარე კედლებით, იატაკით, ჭერით და გამავალი ფანჯრებით, 2022 წელი

%



• გაძვირდა თუ გაიაფდა მშენებლობა საქართველოში?

საქსტატმა მშენებლობის ღირებულების ყოველთვიური ინდექსის (CCI) გაანგარიშება 2022 წლის თებერვლიდან დაიწყო. ინდექსი ასახავს მშენებლობის პროცესში გამოყენებული მასალებისა და მომსახურების ღირებულების ცვლილებას დროში. აქედან, ყველაზე დიდი წილი სამშენებლო მასალებსა და დასაქმებული მუშახელის შრომის ანაზღაურების ხარჯებს უკავია:



ენერგეტიკა - მეტი განახლებადი ენერგია

- რამდენ ელექტროენერგიას ვაწარმოებთ
- იფიქრე, იმოქმედე, დაზოგე
- ენერგოეფექტურობა უკეთესი მომავლისთვის

• რამდენ ელექტროენერგიას ვაწარმოებთ



14 246.6 გვტ.სთ

101.8% 2003 წელთან შედარებით

2023 წელს 1998 წელთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 78.0 პროცენტით; 2003 წელთან შედარებით - 101.8 პროცენტით.

ელექტროენერგიის წარმოება

გვტ.სთ



ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა								
2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
66	72	75	83	88	95	102	109	115

წყარო: *სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“*

განახლებადი ენერგიის მიწოდებაში ჰიდროელექტროსადგურების წილმა 2013 წელს 58.9%, ხოლო 2023 წელს — 79.8% შეადგენდა. ქარის ელექტროსადგური ექსპლუატაციაში შევიდა 2016 წელს, დადგმული სიმძლავრე კი 20.7 მგვტ-ს შეადგენს. ქარის ელექტროსადგურის გამომუშავებული ელექტროენერგია არ აღემატება 90 მლნ. კვტ-ს.



** 2023 წლის 1 იანვარი*

განახლებადი ენერგიის მიწოდება



• იფიქრე, იმოქმედე, დაზოგე

ენერგორესურსების საბოლოო მოხმარებაში ყველაზე დიდი წილით წარმოდგენილია ტრანსპორტის სექტორი და შინამეურნეობები.

ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება სექტორების მიხედვით 2013 - 2023 წლებში



შინამეურნეობების სექტორში საცხოვრისების ფართობის იმ ნაწილიდან რომელიც თბება, უდიდესი წილი (43.2%) მოდის 30 m^2 ან ნაკლებ ფართობზე, რაც შედარებით მაღალია (46.8%) სასოფლო დასახლებებში. გათბობის ინდივიდუალურ ცენტრალურ სისტემას იყენებს შინამეურნეობების 17.1%. აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია საქალაქო დასახლებებში (25.6%), ხოლო სასოფლო დასახლებებში 6.0%-ის ფარგლებშია. (საანგარიშო პერიოდი 01.05.2021 - 01.05.2022).

შინამეურნეობების განაწილება საცხოვრისის გათბობით უზრუნველყოფილი ფართობის მიხედვით, 2022 წელი



წყარო: *შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევა, 2022*

საცხოვრისის განაწილება ქურებში გამოყენებული ენერგორესურსების მიხედვით*

%



საცხოვრისის განაწილება ღუმელებში გამოყენებული ენერგორესურსების მიხედვით*

%



შინამეურნეობების მიერ საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის მოხმარებული ენერგორესურსები*

ენერგორესურსები	სულ	ქალაქად	სოფლად
ქვანახშირი, ათასი ტონა	5.3	-	5.3
ბუნებრივი გაზი, მლნ. კუბ. მ.	1 270.5	845.3	425.3
თხევადი გაზი, (LPG), ათასი ტონა	6.9	1.3	5.5
დიზელის საწვავი, ათასი ლიტრი	183.6	29.9	153.7
შეშა, ათასი კუბ.მ	1 766.5	269.8	1 496.7
ხე-ტყის ნარჩენები, ათასი ტონა	4.0	2.0	2.0
ცხოველური ნარჩენები, ათასი ტონა	14.0	-	14.0
სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები, ათასი ტონა	13.4	0.9	12.5
ელექტროენერგია, მლნ. კვტ.სთ	2 039.2	1 258.6	780.6

***წყარო:** შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევა, 2022*

• ენერგოეფექტურობა უკეთესი მომავლისთვის

ენერგოეფექტურობა გულისხმობს ნაკლები ენერგიის დახარჯვით იმავე შედეგის მიღებას. ეფექტურობა და ენერგოინტენსივობა ერთმანეთთან დაკავშირებული სიდიდეებია და ისინი კავშირშია ქვეყნის ეკონომიკისა და ენერგომოხმარების სტრუქტურასთან, ტრანსპორტის სექტორის ენერგომოხმარებასთან, კლიმატთან (მოთხოვნა შენობების გათბობა-გაგრილებაზე) და ა.შ.

ენერგოეფექტურობის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

	ერთეული	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა	1000	3 727.5	3 728.0	3 726.5	3 720.2	3 722.7	3 708.6	3 712.5	3 715.5
ენერგიის საბოლოო მოხმარება	1000 ტნე	4 396.1	4 455.2	4 414.1	4 592.0	4 486.9	4 913.1	5 190.8	5 136.0
ენერგიის საბოლოო მოხმარება საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე[1]	ტნე	1.2	1.2	1.2	1.2	1.2	1.3	1.4	1.4
პირველადი ენერგიის მთლიანი მიწოდება, სულ	1000 ტნე	4 849.6	4 832.4	4 851.9	5 101.4	4 941.7	5 288.4	5 730.8	5 675.0
პირველადი ენერგიის მთლიანი მიწოდება საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე[2]	ტნე	1.3	1.3	1.3	1.4	1.3	1.4	1.5	1.5
ენერგოინტენსიურობა[3]	ტნე / მლნ. ლარი	114.6	108.6	102.8	102.6	106.0	102.6	100.2	92.0
განახლებადი ენერგიის მიწოდება	1000 ტნე	1 210.1	1183.7	1 154.6	1 042.0	963.5	1 137.8	1 162.1	1 170.4
განახლებადი ენერგიის წილი პირველადი ენერგიის მიწოდებაში	%	25.0	24.5	23.8	20.4	19.5	21.5	20.3	20.6

[1] *ენერგიის საბოლოო მოხმარება საშუალოდ 1 სულ მოსახლეზე*

[2] *პირველადი ენერგიის მიწოდება საშუალოდ 1 სულ მოსახლეზე*

[3] *პირველადი ენერგიის მოწოდება შეფარდებული მთლიან შიდა პროდუქტთან - TES / GDP*

ტრანსპორტი - გზაში

- ცაში
- ზღვაში
- ხმელეთზე
- ავტოპარკი

• ცაში

მგზავრთა ნაკადი, 2024

7 440 306

23.9% 2023 წელთან შედარებით

3 711 585

3 728 721

2024 წელს საქართველოს აეროპორტები 7 440.3 ათას მგზავრს მოემსახურა. საქართველოს აეროპორ-ტებმა 2024 წელს მიიღო 3 711.6 ათასი მგზავრი, ხოლო აეროპორტებიდან გაემგზავრა 3 728.7 ათასი მგზავრი.

მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში

ათასი კაცი



2024 წელს საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელდა 30.3 ათასი სამგზავრო რეისი.

სამგზავრო რეისების რაოდენობა

ათასი



2024 წელს საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის 94.0 პროცენტი რეგულარულ ფრენებზე მოდის.

მგზავრთა ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენების კატეგორიის მიხედვით

%



2024 წელს საქართველოს აეროპორტებში ტვირთის ნაკადის მოცულობამ 26.2 ათასი ტონა შეადგინა. აქედან 86.7 პროცენტი მიღებული ტვირთია, ხოლო 13.3 პროცენტი - გაგზავნილი.

ტვირთის და ფოსტის ნაკადი საქართველოს აეროპორტებში

ათასი ტონა



ტვირთის და ფოსტის ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენის კატეგორიების მიხედვით

%



სატვირთო რეისების რაოდენობა

ათასი



• ზღვაში

გემები პორტებში, 2024

1 683

4.0% 2023 წელთან შედარებით

გენერალური	თხევადი	კონტეინერმზიდი	ნაყარი ტვირთმზიდი, სპეციალიზებული გემები და ბუქსირები
38.5%	30.1%	22.5%	8.9%

2024 წელს საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 1 683 გემი, რომელთა 38.5 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდია, 30.1 პროცენტი - თხევადი ტვირთმზიდია, 22.5 პროცენტი - კონტეინერმზიდი, ხოლო 8.9 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე, სპეციალიზებულ გემებზე და ბუქსირებზე ნაწილდება.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით



2024 წელს საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 18.4 პროცენტი თურქეთის დროშის ქვეშ დაცურავს, 16.1 პროცენტი - პანამის, 8.7 პროცენტი - ლიბერიის, 9.6 პროცენტი - მალტის, 5.2 პროცენტი - რუსეთის, ხოლო 42.0 პროცენტი სხვა ქვეყნებზე ნაწილდება.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით

ერთეული



2024 წელს საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 15 562.3 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა. გადამუშავებული ტვირთის 45.7 პროცენტი - გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთია, 33.6 პროცენტი - თხევადი ტვირთია, 20.7 პროცენტი - ნაყარი ტვირთი.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით

ათასი ტონა



• ხმელეთზე

რკინიგზით გადაყვანილი მგზავრები, 2024

2 077 035



2024 წელს საქართველოს რკინიგზის მიერ გადაყვანილია 2 077.0 ათასი მგზავრი. ადგილობრივი მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 2 048.7 ათასი მგზავრი, რაც რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების მთლიანი რაოდენობის 98.6 პროცენტს შეადგენს. საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 28.3 ათასი მგზავრი.

რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა

ათასი კაცი



2024 წელს საქართველოს რკინიგზით გადატანილია 13.7 მლნ. ტონა ტვირთი. საიდანაც 10.4 პროცენტი მოდის ადგილობრივ გადაზიდვაზე, 30.2 პროცენტი - საერთაშორისო გადაზიდვაზე (არ მოიცავს ტრანზიტს), ხოლო 59.4 პროცენტი - ტრანზიტზე.

რკინიგზით გადაზიდული ტვირთის წონა ტრანსპორტირების ტიპის მიხედვით

ათასი ტონა



2024 წელს რკინიგზით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 39.0 პროცენტი მოდის კოქსის და რაფინირებული ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფზე, 20.4 პროცენტი - ქიმიკატების, ქიმიური პროდუქტების და ხელოვნური ბოჭკოების; რეზინის და პლასტმასის პროდუქტების; ბირთვული საწვავის სასაქონლო ჯგუფზე, ხოლო 15.7 პროცენტი - ლითონის მადანის და სხვა სამთო და კარიერული პროდუქტების; ტორფის; ურანის და თორიუმის მადანის სასაქონლო ჯგუფზე.

რკინიგზით გადატანილი ტვირთების სტრუქტურა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

%



რკინიგზით გადატანილი ტვირთის მოცულობა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, ათასი ტონა							
სასაქონლო ჯგუფის დასახელება	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**
სულ	**10 005.0**	**10 860.6**	**11 063.3**	**12 130.7**	**14 772.8**	**13 551.5**	**13 673.6**
სოფლის მეურნეობის, ნადირობისა და მეტყევეობის პროდუქტები; თევზი და თევზჭერის სხვა პროდუქტები	518.4	429.5	313.1	215.9	348.9	181.6	153.5
ქვანახშირი და ლიგნიტი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი	601.7	752.1	345.6	221.0	720.6	245.9	130.7
ლითონის მადანი და სხვა სამთო და კარიერული პროდუქტები; ტორფი; ურანის და თორიუმის მადანი	2 120.5	2 038.0	2 669.6	3 080.9	2 678.2	2 456.2	2 142.1
საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო	1 012.4	1 070.4	970.4	1 075.1	1 437.7	1 157.7	1 160.5
ტექსტილი და ტექსტილის ნაწარმი; ტყავი და ტყავის ნაწარმი	5.5	7.3	10.2	6.5	6.1	9.4	8.6
ხე და ხის და კორპის პროდუქტები (გარდა ავეჯისა); ნაწარმი ჩალისა და საქსოვი მასალებისგან; რბილობი, ქაღალდი და ქაღალდის პროდუქტები; ბეჭდური მასალა და ჩაწერილი მედია	68.0	82.2	67.0	46.3	98.0	102.9	83.7
კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები	3 134.5	3 212.1	3 121.4	3 809.7	4 608.6	4 802.1	5 333.9
ქიმიკატები, ქიმიური პროდუქტები და ხელოვნური ბოჭკოები; რეზინის და პლასტმასის პროდუქტები; ბირთვული საწვავი	1 022.4	1 519.1	1 963.6	2 081.2	2 810.1	2 628.7	2 784.7
სხვა არამეტალური მინერალური პროდუქტები	495.7	579.8	423.0	485.8	651.5	830.9	769.6
ძირითადი ლითონები; ლითონისგან დამზადებული პროდუქტები, გარდა მანქანებისა და აღჭურვილობისა	780.0	759.9	855.8	840.4	1 138.1	778.4	732.8
მანქანები და აღჭურვილობა; საოფისე ტექნიკა და კომპიუტერები; ელექტრო მანქანები და აპარატურა; რადიო, სატელევიზია და საკომუნიკაციო აღჭურვილობა და აპარატურა; სამედიცინო, ზუსტი და ოპტიკური ინსტრუმენტები; საათები	93.5	111.4	70.5	53.8	74.9	137.7	100.3
სატრანსპორტო აღჭურვილობა	87.1	147.4	153.9	131.8	111.7	120.7	158.2
ავეჯი; სხვა სამრეწველო საქონელი	2.4	4.0	2.0	1.2	3.1	2.2	8.0
მეორადი ნედლეული; მუნიციპალური და სხვა ნარჩენები	10.9	38.0	4.2	2.2	2.8	5.8	16.5
აღჭურვილობა და მასალა, რომელიც გამოიყენება ტვირთების გადაზიდვაში	34.5	57.1	58.7	40.7	39.6	63.2	50.5
დაჯგუფებული საქონელი: საქონლის სახეობების ნაზავი, რომლებიც ტრანსპორტირდება ერთად	16.0	8.0	7.9	11.8	7.0	5.7	3.7
არაიდენტიფიცირებადი საქონელი: საქონელი, რომლის იდენტიფიცირება რაიმე მიზეზით შეუძლებელია და ამასთან, არ მიეკუთვნება 01-16 ჯგუფებს	0.0	0.0	1.9	5.3	5.7	0.6	0.3
სხვა ტვირთები	1.6	44.3	24.6	21.1	30.4	21.9	36.1

• ავტოპარკი

2024 წლის ბოლოსათვის საქართველოში 1 790.6 ათასი ავტომობილია რეგისტრირებული. ამ ავტომობილების 26.8 პროცენტი რუხი ფერისაა, 22.7 პროცენტი - თეთრი, 14.5 პროცენტი - შავი, 12.8 პროცენტი ლურჯია, სხვა ფერის მანქანების ჯამური წილი კი 23.2 პროცენტია.



ავტომობილების 81.7 პროცენტი 10 წელზე მეტი ხნის წინ არის გამოშვებული. შედარებით ახალი ავტოპარკია რეგისტრირებული თბილისში, სადაც რეგისტრირებული 721.0 ათასი ავტომობილიდან 10-ზე მეტი წლის წინ გამოშვებულია 70.6 პროცენტი.

რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა ასაკის მიხედვით

2024 წლის ბოლოსათვის, ათასი



2024 წელს საქართველოს ავტოპარკში 737.5 ათასი ავტომობილი ბენზინზე მუშაობს, 356.2 ათასი - დიზელზე, 160.1 ათასი ჰიბრიდია, 9.0 ათასი - ელექტრო. ამ ავტომობილთაგან 1 608.3 ათასი ავტომობილი ფიზიკურ პირებს ეკუთვნის, 182.3 ათასი კი - იურიდიულ პირებს.

სოფლის მეურნეობა - სოფლის ნობათი

- მემცენარეობა - ვაზი და გუთანი
- მეცხოველეობა - პირუტყვი და ფრინველი
- აკვაკულტურა - ლოქო და კალმახი

• მემცენარეობა - ვაზი და გუთანი

სულ უფრო მეტი ხორბალი

149.1 ათასი ტონა

3.1 -ჯერ 2014 წელთან შედარებით

საქართველოში, სასოფლო მეურნეობებში ხორბლის წარმოება 2024 წელს 2014 წელთან შედარებით 3.1-ჯერ გაიზარდა (47.5 ათასი ტონი-დან 149.1 ათას ტონამდე). რაც შეეხება სიმინდს, ამ კულტურის წარმოება 2024 წელს 2014 წელთან შედარებით შემცირებულია 27,5%-ით.

ხორბლისა და სიმინდის წარმოება საქართველოში, 2014-2024 წლებში

ათასი ტონა



სიმინდის მსგავსად, შემცირებით ხასიათდება ბოსტნეულის წარმოება. 2024 წელს 2014 წელთან შედარებით, წარმოებულ იქნა 12,5%-ით ნაკლები ბოსტნეული. რაც შეეხება კარტოფილს, მისი წარმოება ზემოთ აღნიშნულ პერიოდში 2,9%-ით არის გაზრდილი.

კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება საქართველოში, 2014-2024 წლებში

ათასი ტონა



ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი

53.0 ათასი ჰა
9.1 2014 წელთან შედარებით

14.1 ათასი ჰა
22.5% 2014 წელთან შედარებით

70.0 ათასი ჰა
45.8% 2014 წელთან შედარებით

10.1 ათასი ჰა
47.1% 2014 წელთან შედარებით

ხორბლის წარმოების ზრდის პარალელურად, 2014 წლიდან 2024 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორბლის ნათესი ფართობი - 48.6 ათასი ჰექტარიდან 53.0 ათას ჰექტარამდე (გაიზარდა 9,1%-ით). 2024 წელს 2014 წელთან შედარებით, შემცირებით ხასიათდება სიმინდის (45,8%-ით), კარტოფილისა (22,5%-ით) და ბოსტნეულის (47,1%-ით) ნათესი ფართობი. უნდა აღინიშნოს, რომ ნათესი ფართობის შემცირების უწინარეს მიზეზს წარმოადგენს ამ წლებში ერთწლიანი კულტურების ნაცვლად, მრავალწლიანი ნარგავების გაშენება.

ხორბლის და სიმინდის ნათესი ფართობი საქართველოში, 2014-2024 წლებში

ათასი ჰექტარი



კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესი ფართობი საქართველოში, 2014-2024 წლებში

ათასი ჰექტარი



ერთწლიანი კულტურების ფასები ფერმის კართან

„ფასი ფერმის კართან“ გულისხმობს პროდუქტის ფასს, მის უშუალოდ მწარმოებელთან (ფერმა, სასოფლო მეურნეობა) შესყიდვის დროს.

ერთწლიანი კულტურების ფასები საქართველოში, ფერმის კართან, 2014-2024 წლებში

1 კგ.-ის ფასი, ლარი



სულ უფრო მეტი ყურძენი, ნაკლები ციტრუსი

2024 წელს საქართველოში ყურძნის წარმოება 2014 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოსავლის ზრდა მეტწილად, კახეთის რეგიონზე მოდის. 2024 წელს 2014 წელთან შედარებით, ასევე გაზრდილია ხილის წარმოებაც. რაც შეეხება ციტრუსს, მისი მოსავალი 2014 წელთან შედარებით, 2024 წელს 20,9%-ით არის შემცირებული.

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება საქართველოში, 2014-2024 წლებში

ათასი ტონა



• მეცხოველეობა - პირუტყვი და ფრინველი

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	ღორი	ცხვარი და თხა
		
811.5 ათასი სული	**138.4** ათასი სული	**740.4** ათასი სული

2024 წლის ბოლოს საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 811.5 ათასი სულით განისაზღვრა, ხოლო ღორის რაოდენობამ 138.4 ათასი სული შეადგინა. რაც შეეხება ცხვარსა და თხას, მათი საერთო სულადობა 740.4 ათასით განისაზღვრა.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და ცხვრისა და თხის სულადობა საქართველოში, 2014-2024 წლებში

ათასი სული, წლის ბოლოს



ღორის სულადობა და ფუტკრის ოჯახის რაოდენობა საქართველოში, 2014-2024 წლებში

ათასი სული/სკა, წლის ბოლოს



საქართველოში 2024 წლის ბოლოს, ფრინველის რაოდენობამ 8.0 მლნ. ფრთა შეადგინა, რაც 20,9%-ით მეტია 2014 წლის მაჩვენებელზე. ფრინველის რაოდენობა ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს 2020 წელს და უტოლდება 10 მლნ. ფრთას. ეს თავის მხრივ, აიხსნება დიდ მეფრინველეობის საწარმოებში წარმოების გაფართოებით 2020 წლის მეორე კვარტალიდან.

ფრინველის სულადობა საქართველოში, 2014-2024 წლებში

ათასი ფრთა, წლის ბოლოს



მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება



მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი

26.7 ათასი ტონა

ცხვრისა და თხის ხორცი

4.4 ათასი ტონა



ღორის ხორცი

30.5 ათასი ტონა

ფრინველის ხორცი

26.7 ათასი ტონა

2024 წელს საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოებამ 26.7 ათასი ტონა შეადგინა, ღორის ხორცის წარმოებამ კი - 30.5 ათასი ტონა. რაც შეეხება ცხვრისა და თხის ხორცს, მისი წარმოება 4.4 ათასი ტონით, ხოლო ფრინველის ხორცისა - 26.7 ათასი ტონით განისაზღვრა.

ხორცის წარმოება საქართველოში, 2014-2024 წლებში

ათასი ტონა



რძის წარმოება

რძის წარმოების მაჩვენებელზე უმთავრეს გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდში როგორც მეწველი ფურების რაოდენობის ზრდა/კლება, ასევე საშუალო წველადობის მატება/შემცირება.

რძის წარმოება საქართველოში, 2014-2024 წლებში

მლნ.ლიტრი



კვერცხის წარმოება

კვერცხის წარმოების მაჩვენებელზე უმთავრეს გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდში, როგორც კვერცხისმდებელი ქათმის რაოდენობის ზრდა/კლება, ასევე, კვერცხმდებლობის მაჩვენებლის შემცირება.



კვერცხის წარმოება საქართველოში, 2014-2024 წლებში

მლნ.ცალი



• აკვაკულტურა - ლოქო და კალმახი

საქართველოში, აკვაკულტურის მეურნეობებში ყველზე დიდი მოცულობით იწარმოება ორაგულისებრთა ოჯახში შემავალი თევზის სახეობები. 2023 წელს ჯამურად 21.0% ით მეტი თევზია წარმოებული 2017 წელთან შედარებით.

თევზის წარმოება საქართველოში

ათასი ტონა



საქართველოში, აკვაკულტურის მეურნეობებში ყველაზე დიდი რაოდენობით წყალსატევებში 2023 წლის ბოლოს იყოს კობრისებრთა ოჯახში შემავალი თევზის სახეობები. წყალსატევებში მათი რაოდენობა 2023 წლის ბოლოს 2017 წლის ბოლოსთან შედარებით, გაზრდილია 36,4%-ით.

წყალსატევებში არსებული თევზი საქართველოში, 2017-2023 წლებში

წლის ბოლოს, ტონა



გარემო -
ბუნება მბრძანებელია

- ტყე შეუნახე შვილებსა
- სუფთა ჰაერი
- დაიცავი სისუფთავე

• ტყე შეუნახე შვილებსა



2023 წლის მდგომარეობით, ტყის ფონდის ფართობმა 3,069.1 ათასი ჰექტარი შეადგინა, საიდანაც 2,812.6 ათასი ჰექტარი ტყით დაფარულ ფართობს წარმოადგენს. საქართველოს მიერ კონტროლირებადი რეგიონების მიხედვით, ტყის ფონდის ყველაზე დიდი ფართობი კახეთის რეგიონშია - 283.6 ათასი ჰექტარი, ხოლო ყველაზე მცირე - გურიის რეგიონში (85.4 ათასი ჰექტარი). უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლის რეგიონის ტყის ფონდის ფართობში, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო მეტი წილით გამოირჩევა ტყით დაფარული მიწის ფართობი, რომელიც შეადგენს 96,4%-ს.

საქართველოს ტყის ფონდი რეგიონების მიხედვით, 2023 (ათასი ჰექტარი)

	ტყის ფონდის ფართობი	აქედან ტყით დაფარული
საქართველო	**3 069.1**	**2 812.6**
აფხაზეთის არ-ის ტყის ფონდი	423.3	423.3
აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის ფონდი	149.6	141.8
დაცული ტერიტორიების ტყის ფონდი	574.0	430.3
ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის ფონდი	1 922.2	1 817.2
გურია	85.4	82.1
იმერეთი	280.2	269.0
კახეთი	283.6	263.7
მცხეთა-მთიანეთი	181.9	169.2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	267.9	254.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	271.6	255.3
სამცხე-ჯავახეთი	122.2	117.3
ქვემო ქართლი	145.1	132.0
შიდა ქართლი	284.3	274.1

წყარო: *საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.*

• სუფთა ჰაერი



მავნე ნივთიერებები, 2024	დაჭერილი მავნე ნივთიერებები, 2024
993.4 ათასი ტონა	**930.8** ათასი ტონა

2023 წელს 2022 წელთან შედარებით, 17.0%-ით არის გაზრდილი სტაციონარულ წყაროებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების მოცულობა, ხოლო დაჭერილი მავნე ნივთიერებების წილმა 93,7%-ი შეადგინა.

სტაციონარულ წყაროებში მავნე ნივთიერებების წარმოქმნისა და ატმოსფერული ჰაერის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში, 2017-2023 წლებში

ათასი ტონა



გაიზარდა ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, საიდანაც ნახშირჟანგის (CO) ემისია 7.8%-ით არის გაზრდილი 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, ხოლო აზოტის დიოქსიდის ემისია შემცირდა (NO_2) 0.6 %-ით იმავე პერიოდში.

ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში გაფრქვეული ძირითადი მავნე ნივთიერებები

ათასი ტონა



ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფეროში გაფრქვეული სხვა მავნე ნივთიერებები საქართველოში, 2017-2022 წლებში

ათასი ტონა



წყარო: *საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.*

დაცული ტერიტორიები - ნაკრძალებიდან ბუნებრივ ძეგლებამდე

საქართველოში სახელმწიფო ნაკრძალების ფართობი 129 ათას ჰექტარს შეადგენს. მთლიანად, საქართველოში სახელმწიფო ნაკრძალების რაოდენობა 14 ერთეულით არის განსაზღვრული 2023 წლის მონაცემებით. რაც შეეხება ეროვნულ პარკებს, მათი საერთო ფართობი 497 ათასი ჰექტარია. აღსანიშნავია, რომ დაცული ლანდშაფტების ფართობი 165 ათას ჰექტარს, ხოლო ბუნებრივი ძეგლების ფართობი 3 ათას ჰექტარის ფარგლებშია. 2022 წელს კახეთის რეგიონში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველის - ქურციკის (Gazella subgutturosa) და მასთან დაკავშირებული ეკოსისტემის შენარჩუნებისთვის საჭირო პირობების დასაცავად, შეიქმნა ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია, რომლის ფართობიც შეადგენს 13 ათას ჰექტარს.

საქართველოს დაცული ტერიტორიების კატეგორიები და ფართობი, 2023

	რაოდენობა, ერთეული	ფართობი, ჰექტარი
სახელმწიფო ნაკრძალები	14	128 949
ეროვნული პარკები	14	496 925
აღკვეთილები	26	105 998
ბუნების ძეგლები	40	2 737
დაცული ლანდშაფტები	5	165 002
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	1	13 273

წყარო: *საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.*

• დაიცავი სისუფთავე

2023 წელს ერთ სულ მოსახლეზე 302.2 კგ. მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნებოდა, რაც 45.4%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანად, 2023 წელს ნაგავსაყრელზე განთავსებული იქნა 1 116.6 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს მუნიციპალური ნარჩენების წინა წლების მოცულობას.

	ერთეული	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
მუნიციპალური ნარჩენი	1000 ტონა	774.7	870.3	922.1	977.4	994.6	973.3	1 005.9	1 045.1	1116.6
მოსახლეობის რაოდენობა	მილიონი კაცი	3.73	3.73	3.73	3.72	3.72	3.73	3.69	3.74	3.69
მუნიციპალური ნარჩენის წარმოქმნა ერთ სულ მოსახლეზე	კგ	207.8	233.5	247.2	262.5	267.6	261.1	272.7	279.4	302.2

წყარო: *შპს თბილსერვის ჯგუფი, შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, შპს სანდასუფთავება, ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება, შპს ქედის კომუნალურსერვისი.*

სამომხმარებლო ფასები: რა ღირს ცხოვრება საქართველოში?

ინფლაცია საქართველოში,
2010 წლის საშუალოსთან შედარებით, %



გრძელვადიან პერიოდში, 2024 წლის საშუალო წლიურმა ინფლაციამ საქართველოში 2010 წლის საშუალოსთან შედარებით 78.6% შეადგინა. გასული წლების მკვეთრად მაღალი ინფლაციური პროცესების ფონზე 2024 წელს ფასების დონე შედარებით დასტაბილურდა.



ქართლ-კახეთი, იმერეთი, აჭარა და სამეგრელო

ქვემოთ წარმოდგენილია სამომხმარებლო ფასების ინდექსები საქართველოს ექვსი მსხვილი ქალაქის მიხედვით. დიაგრამა გვიჩვენებს, რომ ისევე როგორც 2023 წელი, 2024 წელიც ფასების დონის სტაბილურობით გამოირჩევა.

ინფლაცია საქართველოს ქალაქებში
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან



სამომხმარებლო ფასების ინდექსები საქართველოს ქალაქებში, 2024 წლის დეკემბერი 2015 წლის დეკემბერთან შედარებით



რა შეუძლია ლარს?

სამომხმარებლო ფასების ინდექსი საქართველოში



სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 2014 წლის დეკემბერში 2004 წლის დეკემბერთან შედარებით შეადგინა 162.8, ხოლო 2024 წლის დეკემბერში 2004 წლის დეკემბერთან შედარებით შეადგინა 264.3. სხვა სიტყვებით, რასაც 2004 წლის დეკემბერში შევიძენდით 100 ლარით, იმავეს საყიდლად 2014 წლის დეკემბერში საჭირო იყო 162.8 ლარი, ხოლო 2024 წლის დეკემბერში - 264.3 ლარი.

სურსათის წლიური საშუალო საცალო საბაზრო ფასები საქართველოში, ლარი			
დასახელება	**ზომის ერთეული**	**2014**	**2024**
ხორბლის პური	1 კილოგრამი	1.56	2.46
ხორბლის ფქვილი	1 კილოგრამი	1.63	3.54
ძროხის ხორცი	1 კილოგრამი	12.68	24.44
ქათმის ხორცი	1 კილოგრამი	6.41	9.83
გაყინული თევზი	1 კილოგრამი	5.35	10.73
იმერული ყველი	1 კილოგრამი	8.02	16.13
კვერცხი	10 ცალი	2.90	5.39
მზესუმზირის ზეთი	1 ლიტრი	3.22	5.61
ვაშლი	1 კილოგრამი	1.62	3.41
მწვანილი	0.1 კილოგრამი	0.45	0.98
კომბოსტო	1 კილოგრამი	0.69	1.21
კიტრი	1 კილოგრამი	2.18	3.39
პომიდორი	1 კილოგრამი	2.41	4.20
კარტოფილი	1 კილოგრამი	1.32	1.33
ლობიო ხმელი	1 კილოგრამი	4.58	7.51
შაქარი	1 კილოგრამი	1.55	3.64
მარილი	1 კილოგრამი	0.62	1.21
ყავა დაფქული	1 კილოგრამი	23.92	50.03

საწვავზე მსოფლიო ფასების ზრდა საქართველოზეც აისახა, რასაც მოცემული მონაცემებიც ცხადყოფს:

საწვავის წლიური საშუალო საცალო საბაზრო ფასები საქართველოში, ლარი			
დასახელება	**ზომის ერთეული**	**2014**	**2024**
ბენზინი	1 ლიტრი	2.12	3.10
დიზელის საწვავი	1 ლიტრი	2.15	3.28
გაზის საწვავი	1 $მ^3$	1.07	1.61

სამომხმარებლო კალათა - რაში რამდენს ვხარჯავთ?

გრაფიკი ასახავს მოსახლეობის ხარჯებს პროდუქტების ჯგუფების მიხედვით. 2014 წლიდან დღემდე საქართველოს მოსახლეობის მოხმარების სტრუქტურა მეტწილად სტაბილურია. ამასთან, დანახარჯების მნიშვნელოვანი წილი სურსათზე, ჯანდაცვაზე, ტრანსპორტსა და საცხოვრისზე მოდის:

სამომხმარებლო კალათის წონები

%



საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ინფლაცია 2024 წელს

%



წყარო: *შესაბამისი ქვეყნების სტატისტიკის სამსახურები*

როგორც გრაფიკი გვიჩვენებს, საქართველოში 2024 წელს წლიურმა ინფლაციამ 1.9 პროცენტი შეადგინა. რეგიონში საქართველო წლიური ინფლაციის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

წინ მწვერვალებისკენ...

საქართველოში პროდუქციის წარმოებისთვის უმნიშვნელოვანესია ნედლეულის შემოტანა სხვადასხვა ქვეყნიდან. შესაბამისად, წარმოების პროცესი და შემდგომში, წარმოებული პროდუქციის ფასიც მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტირებული საქონლის ღირებულებაზე. 2020-2024 წლებში საქართველოში ექსპორტის ფასების ინდექსების ერთნიშნა ზრდა დაიწყო 2020 წლის მარტიდან, ხოლო ამავე წლის ოქტომბრიდან გადაიზარდა ორნიშნა ზრდაში, რომელმაც ზრდის პიკს (53.1%) 2022 წლის მარტში მიაღწია. ამავე პერიოდებში აღინიშნა იმპორტირებული საქონლის ფასების ინდექსების ზრდაც. 2020 წლიდან 2024 წლის ბოლომდე იმპორტის ფასების ინდექსის ცვლილებამ 21.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო ამავე პერიოდში ექსპორტის ფასების ცვლილება 31.1 პროცენტია.

ექსპორტისა და იმპორტის ფასების ინდექსების პროცენტული ცვლილება 2019 წლის დეკემბერთან შედარებით



საქონლით საგარეო ვაჭრობა: საზღვრებს მიღმა

- პატარა, მაგრამ ღია ეკონომიკა
- სავაჭრო პარტნიორები ახლოს და შორს
- ლიდერი სასაქონლო პოზიციები ქვეყნებით
- საქართველო და მსოფლიო
- „დამზადებულია საქართველოში“

• პატარა, მაგრამ ღია ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები, 2024

ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	სალდო
6 558.7	16 888.8	23 447.5	- 10 330.1
მლნ. აშშ დოლარი	მლნ. აშშ დოლარი	მლნ. აშშ დოლარი	მლნ. აშშ დოლარი

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ქვეყნის საგარეო ვაჭრობა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები, 2020-2024 წლებში

მლნ. აშშ დოლარი



2024 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობა 153 ქვეყანასთან დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სავაჭრო ბალანსი უარყოფითია, დადებითი სავაჭრო ბალანსი საქართველოს 50 ქვეყანასთან ჰქონდა, მათ შორისაა ყირგიზეთი, ყაზახეთი და სომხეთი.

• სავაჭრო პარტნიორები ახლოს და შორს

2024 წელს საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ძირითად სამეულს ყირგიზეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი წარმოადგენს.

სამი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა 2024 წლის მიხედვით

მლნ. აშშ დოლარი



2024 წელს საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების ძირითად სამეულს თურქეთი, აშშ და რუსეთი წარმოადგენს.

სამი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა 2024 წლის მიხედვით

მლნ. აშშ დოლარი



• ლიდერი სასაქონლო პოზიციები ქვეყნებით

2024 წელს ძირითადი საექსპორტო საქონელი და მათი მთავარი დანიშნულების ქვეყნები მოცემულია დიაგრამაზე.

მსუბუქი ავტომობილები

2 427 მლნ. აშშ დოლარი

ყირგიზეთი

ყაზახეთი

ფეროშენადნობები

322 მლნ. აშშ დოლარი

თურქეთი

აშშ

სპირტიანი სასმელები

289 მლნ. აშშ დოლარი

რუსეთი

სომხეთი

2024 წელს ძირითადი საიმპორტო საქონელი და მათი მთავარი იმპორტიორი ქვეყნები მოცემულია დიაგრამაზე.

აშშ

გერმანია

მსუბუქი ავტომობილები

3 472 მლნ. აშშ დოლარი

რუსეთი

ბულგარეთი

ნავთობი და ნავთობ პროდუქტები

1 303 მლნ. აშშ დოლარი

თურქეთი

გერმანია

სამკურნალო საშუალებები, დაფასოებული

623 მლნ. აშშ დოლარი

• საქართველო და მსოფლიო

2024 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის უდიდესი წილი, 51.4%, აზიის ქვეყნებზე მოდის. დეტალური ინფორმაცია მსოფლიო ტერიტორიების ჭრილში მოცემულია დიაგრამაზე.

მსოფლიოს ტერიტორიების წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში 2024 წელს

(%)

ამასთან, 2024 წლის საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 22.0% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის. უმსხვილესი საექსპორტო საქონელი ევროკავშირის ქვეყნებში შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: თხილი და სხვა კაკალი, ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები და სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ხოლო საიმპორტო საქონელს ევროკავშირიდან წარმოადგენს მსუბუქი ავტომობილები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები და სამკურნალო საშუალებები.



• „დამზადებულია საქართველოში“

2024 წელს საქართველოს მთლიანი ექსპორტის 45.6 პროცენტს ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) შეადგენს.

აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 4.6 პროცენტით გაიზარდა და 2 993.0 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები ადგილობრივ ექსპორტში 2024 წლის მიხედვით

მლნ. აშშ დოლარი



უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნები ადგილობრივ ექსპორტში, 2024 წლის მიხედვით

მლნ. აშშ დოლარი



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - საინვესტიციო გარემო

რამდენია პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საქართველოში?

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ ეკონომიკურ სუბიექტში წილის, აქციების ან ხმის უფლების 10%-ის ან მეტის ფლობას (ან ეკვივალენტურ ძალაუფლებას). პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომია 1996 წლიდან.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2020-2024* წლებში

მლნ. აშშ დოლარი



*წინასწარი მონაცემები

რისგან შედგება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები?

მონაცემები სამი კომპონენტისგან შედგება: სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები, რომელიც ხელმისაწვდომია 2013 წლიდან.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2020-2024* წლებში

მლნ. აშშ დოლარი



*წინასწარი მონაცემები

საინვესტიციო ნაკადები

2024 წელს ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყანა მთლიანი ინვესტიციების 33.6%-ით გაერთიანებული სამეფოა. მალტის და ნიდერლანდების წილები შესაბამისად წარმოადგენს 13.2%-ს და 11.4%-ს.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2024* წელს

%



*წინასწარი მონაცემები

რა სფეროები აინტერესებთ ინვესტორებს?

2024 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39.5% განხორციელდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში. დამამუშავებელი მრეწველობის და უძრავი ქონების სექტორში კი - 12.8% და 11.6%.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2024* წელს

%



*წინასწარი მონაცემები

ინვესტიციები საქართველოს რეგიონებში

2024 წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ქ. თბილისში, მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში შესაბამისად - 1 073.8, 97.6 და 47.6 მლნ. აშშ დოლარი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში რეგიონების მიხედვით 2024* წელს

მლნ. აშშ დოლარი



*წინასწარი მონაცემები

ეკონომიკა - უკეთესი მომავლისთვის

- ეკონომიკის გულისცემა
- რეგიონები
- სამეზობლო

• ეკონომიკის გულისცემა

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობისა და განვითარების ამსახველ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს. ის არის ქვეყნის ტერიტორიაზე გარკვეულ პერიოდში (წელიწადი, კვარტალი, თვე) წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოხატული მთლიანი ღირებულება. იგი ეროვნული ანგარიშების სისტემის (ეას) ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელია. მშპ-ის დახმარებით შეიძლება მსჯელობა, თუ რამდენად შემოსავლიანი და მწარმოებლურია ეკონომიკა, რამდენად მაღალია მოსახლეობის ცხოვრების დონე და როგორ განსხვავდება ეს მაჩვენებლები ერთმანეთისგან დროისა და ქვეყნების მიხედვით.

მშპ შეიძლება გამოითვალოს წარმოების, დანახარჯების (იგივე, გამოყენების) ან შემოსავლების მეთოდით. სხვადასხვა ანალიზური მიზნებისთვის მშპ გამოისახება ნომინალურ, რეალურ ან ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებულ ერთეულებში.

ნომინალური მშპ მიმდინარე ფასებით გამოთვლილი მაჩვენებელია, ხოლო **რეალური მშპ-ის** უპირატესობა კი ისაა, რომ გამორიცხავს სხვადასხვა საანგარიშო პერიოდებში ეკონომიკაში არსებული ფასების ცვლილების ეფექტს და გვიქმნის სწორ წარმოდგენას, სინამდვილეში რამდენად იცვლება ეკონომიკური აქტივობა. რეალური მშპ აჩვენებს აბსოლუტურ სიდიდეში როგორ განსხვავდება წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა პერიოდიდან პერიოდამდე.

2024 წელს წინასწარი მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ მიმდინარე ფასებში 91.9 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 13.6 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი

მილიარდი ლარი



*წინასწარი მონაცემები

რეალური მშპ-ის ზრდა, 2024*

9.4 %

*წინასწარი მონაცემები

რეალური მშპ-ის ზრდა სტაბილურად დადებითი ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ COVID-19-ის გლობალური უარყოფითი ეფექტის გამო 2020 წელი გამონაკლისი იყო. თუმცა, პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ გააქტიურებულმა საწარმოო პროცესებმა, საგარეო ვაჭრობამ და ტურიზმმა, საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაზარდა 2021-2022 წლებში და ბოლო ათწლეულში პირველად, რეალური მშპ-ის ორნიშნა ზრდა (შესაბამისად, 10.6% და 11.0%) დაფიქსირდა. ზრდა ასევე მაღალი იყო 2023 და 2024 წლებში (შესაბამისად, 7.8% და 9.4%).

რეალური მშპ-ის ზრდა წინა წელთან შედარებით

%



*წინასწარი მონაცემები

მშპ-სთან ერთად, მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი საზომია **მშპ ერთ სულზე**, რომელიც აფასებს საშუალოდ რა ღირებულების დოვლათი შეიქმნა და რა ოდენობის თანხა დაიხარჯა ქვეყნის ერთ მაცხოვრებელზე საანგარიშო პერიოდში. ამ მაჩვენებლით ქვეყნების ურთიერთშედარების გასამარტივებლად, მიღებული პრაქტიკაა, მშპ ერთ სულზე გამოითვალოს არა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, არამედ აშშ დოლარშიც.

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე

ათასი



**წინასწარი მონაცემები*

წარმოების მეთოდით მშპ არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულებების ჯამი. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა გაირკვეს დროის მოცემულ მონაკვეთში რომელი დარგ(ებ)ია ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. მაჩვენებლებზე დროთა განმავლობაში დაკვირვებით კი შეიძლება ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილების ანალიზი.

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესმა, საერთაშორისო ვაჭრობის, საბანკო და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ და ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობების გააქტიურებამ გაზარდა ეკონომიკაში მომსახურების სექტორის მნიშვნელობა. თანამედროვე ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესია მომსახურების დარგები და მათი მნიშვნელობა თანდათან კიდევ უფრო იზრდება. საქართველოს შემთხვევაშიც, სწორედ მომსახურების სექტორი ქმნის უდიდეს წილს მშპ-ში.

საქართველოს მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ტრადიციულად ლიდერობს და ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა სამი სფერო: საბითუმო და საცალო ვაჭრობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები და დამამუშავებელი მრეწველობა. ასევე, მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, სახელმწიფო მმართველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, ინფორმაცია და კომუნიკაცია, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2024 წელი*

%



**წინასწარი მონაცემები*

მშპ, ასევე, შეიძლება განხილულ იქნას, ერთის მხრივ, როგორც საბოლოო მოხმარების საქონლისა და მომსახურების, ხოლო მეორეს მხრივ დანახარჯების და შემოსავლების ფორმირების საზომი. შესაბამისად, წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მშპ-ის გარდა, მნიშვნელოვანია დანახარჯების და შემოსავლების მიხედვით გაანგარიშებული მშპ-ის ანალიზიც.

დანახარჯების მეთოდით მშპ-ის გაანგარიშებისას გამოიყოფა ხარჯების სამი ძირითადი ჯგუფი, რომელთაგან მშპ-ის ფორმირებაში უდიდეს როლს თამაშობს საბოლოო მოხმარებაზე გაწეული ხარჯი, შემდეგ მოდის მთლიანი კაპიტალის ფორმირება და წმინდა ექსპორტი. ეს უკანასკნელი მიიღება საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობით და საქართველოს შემთხვევაში უარყოფითი სიდიდით ხასიათდება, რაც საგარეო ვაჭრობის დეფიციტზე და მშპ-ის ფორმირებაში უარყოფით გავლენაზე მიუთითებს. რაც შეეხება კაპიტალის მთლიან ფორმირებას, იგი ეკონომიკის მიერ უმეტესწილად გრძელვადიან (ძირითადი კაპიტალის ფორმირება) და შედარებით მოკრძალებული ოდენობით მოკლევადიან (მარაგების ცვლილება) აქტივებში ჩადებულ ინვესტიციების ჯამია (მაგ: 2024 წელს 22.8%-ია). საბოლოო მოხმარებაზე გაწეული ხარჯის (84.8%) დაახლოებით მეხუთედი შმაკო-ს და სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერაა გაწეული, ხარჯების უდიდესი ნაწილი კი შინამეურნეობებზე მოდის.

მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯების მიხედვით (მიმდინარე ფასებში)

%



*წინასწარი მონაცემები

შემოსავლების მეთოდით მშპ-ის დათვლისას ჯამდება შრომის ანაზღაურება, ძირითადი კაპიტალის ფორმირება, შერეული შემოსავალი და სახელმწიფოს მიერ მიღებული წმინდა გადასახადები (პროდუქციასა და წარმოებაზე გადასახადების და სუბსიდიების სხვაობა). შემოსავლების ფორმირებაში ყველაზე დიდი წილით წარმოდგენილია მთლიანი საოპერაციო მოგება (მაგ: 2024 წლის მშპ-ის 40.1%). მეორე ადგილს იკავებს შრომის ანაზღაურების სახით მიღებული შემოსავალი (31.3%), რასაც მოსდევს მთლიანი შერეული შემოსავალი (15.0%) და წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე (13.6%).

მთლიანი შიდა პროდუქტი შემოსავლების მიხედვით (მიმდინარე ფასებში)

მლრდ. ლარი



*წინასწარი მონაცემები

• რეგიონები

რეგიონული მშპ-ის გაანალიზებით შეიძლება ქვეყნის ამა თუ იმ ტერიტორიაზე არსებული ეკონომიკური აქტივობების ურთიერთშედარება და კონკრეტული რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორ(ებ)ის გამოვლენა. საქართველოში, ისევე, როგორც ბევრი სხვა ქვეყნის შემთხვევაში, ეკონომიკური აქტივობის ცენტრია დედაქალაქი - თბილისი ქმნის საქართველოს მშპ-ის დაახლოებით ნახევარს (მაგ: 52.7 პროცენტი 2023 წელს). რიგით მეორე რეგიონია აჭარის ა.რ. (9.5%), მესამე ადგილს იკავებს იმერეთი (7.8%), შემდეგ კი მოდის ქვემო ქართლი (7.5%) და ეს სამეული ერთად ქვეყნის ჯამური მშპ-ის დაახლოებით მეოთხედს ქმნის; მშპ-ის დარჩენილი ნაწილი კი (22.4 პროცენტი 2023 წელს) ქვეყნის სხვა რეგიონებში იქმნება.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა რეგიონში დამატებული ღირებულების მიხედვით სხვადასხვა დარგი ლიდერობს: დედაქალაქში ყველაზე დიდი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტზე მოდის (24.6 პროცენტი 2023 წელს); აჭარაში - მშენებლობაზე (14.0%); იმერეთში სოფლის მეურნეობა (11.9%) ლიდერობს, ხოლო ქვემო ქართლში - დამამუშავებელი მრეწველობა (18.9%).

მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა, 2023 წელი

%



• სამეზობლო

ბოლო წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის სტაბილური ზრდა განაპირობებს საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას რეგიონში. მშპ-ის პოსტპანდემიური ზრდის ტემპით საქართველო სამეზობლოში 2024 წელს პირველ ადგილზე იყო. ამასთან, ერთ სულზე მშპ-ის ოდენობით საქართველო მეზობლებიდან უსწრებდა სომხეთს და აზერბაიჯანს.

საქართველო და მეზობელი ქვეყნები (2024 წელი*)			
	მშპ მიმდინარე ფასებში (მილიარდი აშშ დოლარი)	მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	რეალური მშპ-ის ზრდა (პროცენტი)
საქართველო	33.8	9 141.4	9.4
აზერბაიჯანი	74.3	7 251.3	4.1
თურქეთი	1 322.4	15 463.3	3.2
რუსეთი	2 161.2	14 794.7	4.1
სომხეთი	25.5	8 613.2	5.9

წყარო: *საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), საქსტატი.*

**წინასწარი მონაცემები*

გარდა ამისა, რეალური მშპ-ის ზრდის მიხედვით 2024 წელს საქართველო პირველ ადგილზე იყო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის წევრ ქვეყნებს შორის.

რეალური მშპ-ის ზრდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, 2024 წელი*



წყარო: *საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), საქსტატი.*

**წინასწარი მონაცემები*

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცოტნე დადიანის ქ. 30, თბილისი, 0180

INFO@GEOSTAT.GE

WWW.GEOSTAT.GE

+995 32 236 72 10